



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხელახალი ავტორიზაციის საბოლოო დასკვნა

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ივანლეზანი, (პენსიაზე გასული) ლუბლიანას უნივერსიტეტი, სლოვაკეთი.

თანათავმჯდომარე: აზიმშირ ზაზადეჰი, თეირანისმედიცინისმეცნიერებათა უნივერსიტეტი, ირანი.

წევრები: ლილი შატბერაშვილი, CIM - ექსპერტი თსუ-ში, გერმანია/საქართველო.

ქეთევან კანკავა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო.

ნინო ზარნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

მარიამ ბანძელაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო.

გიორგი ქურდიანი (სტუდენტი ექსპერტი).

თბილისი

2021

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

## **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა (შემდგომში EEU) თბილისში, 2013 წელს, სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსით დაიწყო ფუნქციონირება, ახორციელებდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს.

მოგვიანებით, EEU-მ მოიპოვა სადოქტორო პროგრამების განხორციელების უფლება და 2015 წლიდან ფუნქციონირებს, როგორც კვლევითი უნივერსიტეტი. 2015 წლისთვის, აკრედიტაციის პროცესის გავლით, უნივერსიტეტში 8 სადოქტორო პროგრამა უკვე დანერგილი იყო.

უნივერსიტეტის მთავარი მმართველი ორგანოებია - პარტნიორთა კრება, რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ვიცე-რექტორები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 18 დამხმარე სამსახურთან ერთად.

მოქმედებს სამი ფაკულტეტი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტი და ჯანდაცვის ფაკულტეტი, 6 კვლევითი ლაბორატორიით.

საერთო ჯამში 19 საგანმანათლებლო პროგრამაა, აქედან 15 აკრედიტებულია, 4 პროგრამა ინგლისურ ენაზე ისწავლება. 19 პროგრამიდან 2 სადოქტორო პროგრამაა იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტსა და ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტზე. ამჟამინდელი მდგომარეობით, დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა რაოდენობა შეადგენს სამს.

ფაკულტეტების მიხედვით, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სულ 390 ადამიანია დასაქმებული, აქედან 159 აკადემიური პერსონალი (96 აფილირებული და 62 არა-აფილირებული), 148 მოწვეული აკადემიური პერსონალი და 84 ადმინისტრაციული პერსონალი.

ამჟამად, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 1017-ს ხოლო სტატუსშეჩერებულთა რაოდენობა - 626. აქტიური სტატუსის მქონე საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 281, ხოლო სტატუსშეჩერებულების - 69 (თვითშეფასება, გვრ. 10).

2019 წელს, მსგავსი შეფასება განახორციელა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჯგუფმა. შეფასების შედეგად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააკეთა დასკვნა, რომ შპს EEU აკმაყოფილებდა ავტორიზაციის პირობებს; გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია.

## **დაწესებულებაში განხორციელებული საავტორიზაციო ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში (თბილისი, საქართველო) განხორციელდა 2021 წლის 19-21 აპრილს. ეს იყო ხელახალი ავტორიზაციის (ინსტიტუციური) შეფასების ვიზიტი, რომელიც პანდემიის პირობებში შერეულ ფორმატში

შედეგა. ონლაინ, „ზუმის“ გამოყენებამ საკმაოდ კარგად იმუშავა ვიზიტისას, პანდემიის დროს. ექსპერტთა ჯგუფის ნაწილმა მოინახულა საავადმყოფოს ორი შენობა და ახალი კამპუსი.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ყველა საჭირო დოკუმენტაცია, დანართებთან ერთად, მოგვაწოდა 2021 წლის 2 და 6 აპრილისთვის. ექსპერტთა ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა (2.5 საათიანი) ჩატარდა 2021 წლის 8 აპრილს. EEU-მ მოამზადა თვითშეფასების ანგარიში (184 გვერდიანი), დამატებითი მონაცემებით. ვიზიტის დროს განხორციელდა 23 ინტერვიუ (თითო დაახლოებით 40-50 წუთი) სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან. ვიზიტის დროს ჩვენ მივიღეთ დამატებითი მონაცემები უნივერსიტეტისგან. ექსპერტთა ჯგუფმა შეფასება მოამზადა უნივერსიტეტის ამჟამინდელ სიტუაციაზე დაყრდნობით, მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით.

3-დღიანი ვრცელი ვიზიტის დასასრულს, ძირითადი მიგნებები წარედგინა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და მისი სამსახურების წარმომადგენლებს.

დასკვნის პროექტი გადამოწმდა NCEQE-ს მიერ 2021 წლის 11 მაისისთვის.

ავტორიზაციის დასკვნის პროექტზე აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის არგუმენტურებული პოზიცია მიღებულ იქნა 2021 წლის 23 მაისს, ხოლო საბოლოო დასკვნა მომზადდა და გაეგზავნა NCEQE-ს წარმომადგენელს 2021 წლის 25 მაისს, მისი თხოვნის საფუძველზე.

**სამადლობელი.** ექსპერტთა ჯგუფს სურს გულწრფელი მადლობა გადაუხადოს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, სტუდენტებს, პერსონალს და გასაუბრებაში მონაწილე ყველა პირს მასპინძლობისთვის, იმისთვის, რომ მათ უზრუნველგვყვეს შესანიშნავი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და ამგვარად, მოგვცეს შესაძლებლობა, გვემუშავა ამ რთულ პირობებში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესა და თანათავმჯდომარეს სურთ, მადლობა გადაუხადონ კოლეგებს დახმარებისთვის და უამრავი სამადლობელი გვეთქმის თარჯიმნისთვის. ექსპერტთა ჯგუფს, ასევე, სურს მადლობა გადაუხადოს ცენტრის ორ წარმომადგენელს მათი მუდმივი და ფასდაუდებელი მხარდაჭერისთვის.

**უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა**

## **რეკომენდაციები**

### **1.2**

- თითოეულ ახალ სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს წინა გეგმების შესაბამისი მიღწევები და შესაძლო წარუმატებლობები, თავისი განმარტებებით.

### **2.1**

- EEU-ს ხელმძღვანელობამ ფინანსური მხარდაჭერა უნდა გაუწიოს აკადემიური პერსონალის მობილობას და დაეხმაროს საერთაშორისო პროექტებზე განაცხადების შეტანაში.
- რამდენადაც უნივერსიტეტში არის ენის ცენტრი და ინგლისური ენის ცოდნა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ინტერნაციონალიზაციისთვის, უნდა გაუმჯობესდეს ენის ცოდნის დონე.

### **3.2**

- უზრუნველყოფილ იქნეს სწავლა-სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების უკეთესი თანახვედრა.

### **3.3**

- განვითარდეს სასწავლო გეგმის სხვადასხვა ეტაპზე თითოეული სტუდენტისთვის მონიტორინგის სისტემა.
- განმავითარებელი შეფასება (ის შეფასებები, რომლებიც წარმოაჩენს სტუდენტთა ძლიერ და სუსტ მხარეებს და არ შექვს რაიმე წვლილი კონკრეტულ კურსზე სტუდენტის საბოლოო შეფასებაში) გახდეს სტუდენტთა შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილი.
- სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასების უფრო ამომწურავად გამოყენება.
- OSCE/OSPE ტიპის გამოცდების ადრეული დანერგვა იმ სტუდენტებისთვისაც კი, რომლებიც დიპლომირებული მედიკოსის ძველ პროგრამაზე არიან ჩარიცხული.

### **4.2**

- გადაიხედოს აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის პოლიტიკა, განსაკუთრებით აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის და ჩამოყალიბდეს გონივრული მექანიზმი სწავლების ხარისხის გაუარესების რისკის პრევენციისთვის.

### **6.1**

- უფრო აქტიურად ჩაერთოს აფილირებული პერსონალი კვლევაში.
- შემოწმდეს დასრულებული კვლევითი პროექტების შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან ზოგიერთი პუბლიკაციის აფილირებისთვის.
- გადაიხედოს აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის სისტემა, როგორც მინიმალური, ასევე მაქსიმალური დატვირთვის კუთხით.
- უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტების უფრო ფართო ჩართულობა უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობაში.

### **7.1**

- უზრუნველყოფილ იქნეს აღჭურვილობისა და სიმულატორების საკმარისი რაოდენობა ყველა სამედიცინო სტუდენტისთვის, რათა სწავლებისას მათ შეიძინონ საჭირო უნარები.
- უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ყველა აღჭურვილობა ადეკვატურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და შესაძლებლობას იძლევა, სტუდენტებმა შეიძინონ პრაქტიკული გამოცდილება.

### **7.2**

- უზრუნველყოფილ იქნეს ბიბლიოთეკაში, სტუდენტების წვდომა ლიცენზირებულ წიგნებზე/ელექტრონულ წიგნებზე და საავტორო უფლებების შესახებ კანონის დაცვა.

### **7.4**

- სარეზერვო ფონდის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის გასაუმჯობესებლად;

## რჩევები

- მისიის განაცხადი გახდეს უფრო მოკლე, ამომწურავი და მკაფიო.
- უნივერსიტეტის მისია და ხედვა განთავსებული უნდა იყოს ვებგვერდის პირველ გვერდზე, სარწმუნო განმარტებებით.
- თვითშეფასების ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა, წლიური თუ სხვა ანგარიშები რეგულარულად უნდა ქვეყნდებოდეს EEU-ს ვებგვერდზე.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შეგროვებული სხვადასხვა მონაცემები ეფექტურად უნდა გამოიყენებოდეს შემდგომი ანალიტიკური სამუშაოსთვის და ტენდენციების პროგნოზირების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობაში გარკვეული ოპტიმიზაციები შეიძლება იყოს საჭირო.
- არსებობს საშიშროება, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გადაიტვიტოს ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობით და მას ოპტიმიზაცია დასჭირდეს.
- ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით, რამდენიმე პუნქტი (ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარება, სტანდარტები (NCEQE, ESG) ავტორიზაცია, აკრედიტაცია, PDCA) უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
- კითხვარებიდან მიღებულ შედეგებს ყოველთვის უნდა მოჰყვებოდეს რიცხვები: ვინ იყო მოწვეული გამოკითხვაში და რესპოდენტების პროცენტული რაოდენობა.
- უმეტეს შემთხვევაში, კარგი პასუხის მიღებაა შესაძლებელი, შემდეგი სამი შეკითხვის დასმით: რას შეაქვდით EEU-ში, რა არის არც ისე კარგი უნივერსიტეტში და რა ცვლილებაა საჭირო გაუმჯობესებისთვის.
- EEU-ში მოსულ ყველა სტუდენტს უნდა ჩაუტარდეს ვრცელი შესავალი კურსი არაკეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო პრაქტიკის შესახებ.
- სასურველია პერსონალის, სტუდენტებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის საჯარო ლექციის ჩატარება თემებზე: “რატომ აღმოჩნდა თაღლითობა, არაკეთილსინდისიერება და პლაგიატი უმაღლეს დაწესებულებაში?”
- დოკუმენტის ინგლისურენოვან ვერსიაში გარკვეული დაზუსტების შეტანამ, (რაც შესაძლოა თარგმანის ხარისხის შედეგი იყოს) შესაძლოა იგი მეტად გასაგები გახადოს.
- სასურველია შემდგომი კვლევა განახლებული პროგრამების(განსაკუთრებით სამედიცინო პროგრამის) განხორციელების დონის შესაფასებლად (განსხვავება დაგეგმილ და განხორციელებულ პროგრამას შორის).
- განახლებული პროგრამების თუნდაც ზოგიერთი ნაწილის განხორციელება იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ განახლებული პროგრამის მიღებამდე ჩააბარეს უნივერსიტეტში.
- მეტი ყურადღება დაეთმოს იმას, რომ სტუდენტებს მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამის შესახებ.
- უნივერსიტეტის/ფაკულტეტის მართვის პროცესში პერსონალის ჩართულობის გადახედვა და დახვეწა, პერსონალის წევრებისთვის სხვადასხვა პროცესებში ჩართვის შესაძლებლობის მიცემით.
- იმ პოტენციურ კანდიდატთა რაოდენობის აღრიცხვა, რომელთაც განაცხადი შეაქვთ აკადემიურ თანამდებობებზე და მომავალ თვითშეფასების ანგარიშში ანალიზის შეტანა, იმის წარმოსაჩენად თუ რამდენად კონკურენტუნარიანია უნივერსიტეტი ქვეყანაში არსებულ სხვა უმაღლეს განმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებით.
- პოტენციურ დასაქმებულებთან კონტრაქტებზე მოლაპარაკებების პრაქტიკის დანერგვა, რათა აისახოს დასაქმებული პერსონალის ინდივიდუალური საჭიროებები.

- სასურველია კონკრეტულ პროგრამებზე მომუშავე პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული) შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეტანა თვითშეფასების ანგარიშში, უნივერსიტეტის პოლიტიკასთან შესაბამისობის დაზუსტების მიზნით.
- კვლევითი ცენტრების კადრებისა და ფინანსური რესურსების ზედამხედველობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს დაგეგმილი პროექტების განხორციელება.
- რაც შეიძლება მეტ მკვლევარს მიეცეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ღონისძიებებში, იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორ უნივერსიტეტებში, რათა გაიზარდოს მიმდინარე პროექტებში საერთაშორისო კომპონენტების ინტეგრირების შესაძლებლობა.
- შემუშავდეს კარგად გააზრებული სტრატეგია კვლევით პროექტებში მონაწილეობის მოსაზიდად, განსაკუთრებით ახალგაზრდა მკვლევარებისთვის.
- გადაიხედოს კვლევითი ცენტრების შეფასება და საჭიროებისამებრ, დაინერგოს სპეციალური პროცედურა.
- გაიზარდოს სამედიცინო პროგრამის სტუდენტებისთვის ინვენტარის (მანეკენების, მულაჟების, მიკროსკოპების და სხვა) რაოდენობა.
- გაიზარდოს თანამედროვე აღჭურვილობაზე სტუდენტთა წვდომა სპეციალური ტრენინგების ჩატარებით.
- გამდიდრდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, სტუდენტების მზარდი რაოდენობის შესანარჩუნებლად,
- სტუდენტებს მიეწოდოთ სავალდებულო კურსებისთვის განკუთვნილი წიგნების ფერადი ასლები.
- EEU-ს ვებგვერდს (ქართულ და ინგლისურს) უნდა ჰქონდეს საიტის რუკა ან საძიებო ველი, რათა უფრო გამარტივდეს სასურველი ინფორმაციის მოძიება.
- ყველა სამართლებრივი აქტი, წლიურ ანგარიშებთან, თვითშეფასების ანგარიშებთან, შეფასების ანგარიშებთან და აკრედიტაციის მონაცემებთან ერთად, წარმოჩენილი უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
- საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენელთა კომპეტენციისა და პროფესიული ღონის ამაღლება.
- სამეცნიერო გრანტების, ასევე, სამეცნიერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის გაზრდა.

### საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა

- დასაფასებელია ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა სამოქმედო გეგმაში მიღწევადი პრიორიტეტების შეზღუდული რაოდენობა გაწერა.
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ძლიერი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის უნივერსიტეტის ერთ-ერთი მართველი ორგანო.
- განსაკუთრებით დასაფასებელია ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტი EUA -ს წევრია.
- აღსანიშნავია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის მთელი პროცესი, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობით (მობილობა, პროექტები, პარტნიორობა, გაცვლითი პროგრამები, სასწავლო პროგრამები ინგლისურ ენაზე).
- სტუდენტთა ომბუდსმენის თანამდებობის დანერგვა.
- ბიზნეს პრობლემების პლატფორმა მრავალფუნქციური კვლევის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.

### შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებს
1.	<b>უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.1	უსდ-ის მისია	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.2	სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	<b>უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	<b>საგანმანათლებლო პროგრამები</b>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4	<b>უსდ-ის პერსონალი</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.1	პერსონალის მართვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5	<b>სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების წესი, განათლების აღიარება, სტუდენტთა უფლებები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6	<b>კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.1	კვლევითი საქმიანობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7	<b>მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური რესურსები</b>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.1	მატერიალური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.3	ინფორმაციული რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.4	ფინანსური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ივან ლეზანი
2. აზიმ მირზაზადეჰ
3. ლილი შატბერაშვილი
4. ქეთევან კანკავა
5. ნინო ზარნაძე
6. მარიამ ბანძელაძე
7. გიორგი ქურდიანი

## უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

### 1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმადლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

#### 1.1 უსდ-ის მისია

უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმადლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმადლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.

#### სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თავისი განსაზღვრებით მისიის განაცხადი წარმოადგენს მოკლე განაცხადს იმის თაობაზე, თუ რატომ არსებობს ორგანიზაცია, რა არის მისი საერთო მიზანი; მისიაში, ასევე, გამოვლენილია მისი საქმიანობის მიზანი: როგორი სახის მომსახურებას უზრუნველყოფს, ვინ არის მისი ძირითადი მომხმარებელი და რომელია მისი საქმიანობის გეოგრაფიული რეგიონი.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისია მოცემულია მის წესდებაში: „სწავლებისა და კვლევის განუყოფლობა, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, ქართულ და მსოფლიოს კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის მხარდაჭერა აკადემიური და მორალური განვითარებისა და სამოქალაქო წარმატების მიღწევაში მაღალი ხარისხის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების უზრუნველსაყოფად. საკუთარი წვლილის შეტანა ქართული და საერთაშორისო საზოგადოების აკადემიური განათლებისა და ღრსების დამკვიდრებაში.“

თვითშეფასების ანგარიშის წაკითხვის და პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრების შემდეგ, აღმოვაჩინეთ, რომ მათ იციან მისიის შესახებ და კარგად იცნობენ განაცხადს.

მისია ასევე წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის საფუძველს.

თვითშეფასების ანგარიშიდან გამოვლინდა, რომ მისიამ წარსულში მცირე ცვლილებები განიცადა და ამაში ყველა დაინტერესებული მხარე იღებდა მონაწილეობას.

მისიიდან ასევე ნათელია, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მთავარი მიმართულებები არის სწავლება, კვლევა და ინტერნაციონალიზაცია.

რჩევა იქნება, უფრო ვრცლად ახსენოთ საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ახალი მიმართულებები უნივერსიტეტის პოლიტიკაში - ინოვაციები, გაციფრულება, ხელოვნური ინტელექტი. ეს ან მისიაში უნდა ჩაემატოს ან 2022-2024 წლის ახალ სამოქმედო გეგმაში.



<p>მართალია თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ მისიის განაცხადი საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, თუმცა იგი რთულად იძებნება. შესაბამისად, მისია ვებგვერდის პირველივე გვერდზე უნდა ჩანდეს.</p> <p>EEU-ს მისია მუდმივი განხილვის საგანი უნდა იყოს და საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- EEU-ს წესდება;</li> <li>- თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>- გასაუბრება რექტორთან, პრორექტორთან, დეკანებთან, სტუდენტებთან.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მისიის განაცხადი გახდეს უფრო მოკლე, ამომწურავი და მკაფიო. უნივერსიტეტის მისია და ხედვა განთავსებული უნდა იყოს ვებგვერდის პირველ გვერდზე, სარწმუნო განმარტებებით.</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
<p><b>1.2 სტრატეგიული განვითარება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>o უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (შვიდწლიანი) და სამოქმედო (სამწლიანი) გეგმები.</li> <li>o უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, დაწესებულებაში დაგროვებულ ცოდნას უზიარებს საზოგადოებას და ხელს უწყობს უწყვეტ განათლებას.</li> <li>o უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>მისიისა და ხედვის გამოყენებით, EEU-მ შექმნა სტრატეგიული განვითარების გეგმა (7 წლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამუშაო) (3 წლიანი), რომელიც განახორციელებს სტრატეგიულ გეგმას. არსებობს, ასევე, მონიტორინგის გეგმაც.</p> <p>სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის, EEU-ს სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, ქვეყანაში არსებულ ვითარებასთან მიმართებით. შედეგები განიხილეს აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან. სტრატეგია შემუშავდა ქვეყანაში განათლებისა და კვლევის პრაქტიკასთან მიმართებით, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ტენდენციებისა და არსებული დოკუმენტების გათვალისწინებით. სამუშაო ჯგუფი, ასევე, გაეცნო საერთაშორისო გამოცდილებას და საუკეთესო პრაქტიკებს. კვლევითი უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო დაკვლევითი აქტივობები განუყოფელია (Magna Charta Universitatum).</p> <p>მისიის შესაბამისად, EEU-მ განსაზღვრა სამი სტრატეგიული პრიორიტეტი და ორი დამატებითი, გამჭოლი პრიორიტეტი. ესენია: მიმზიდველობის გაზრდა; კვლევების განვითარება;</p>

ინტერნაციონალიზაცია; და დამატებით, მენეჯმენტის გაძლიერება; ინფრასტრუქტურის განვითარება.

არაფერი მოგვისმენია 2022-2024 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ. ასევე, დეტალურად არ იყო ნახსენები 2019 წლის NCEQE-ს ვიზიტის რეკომენდაციები. გარდა ამისა, არ გვსმენია მენეჯმენტის გაძლიერების შესახებ. უნივერსიტეტში არის დიდი რაოდენობის სტრუქტურული ერთეული, შესაბამისი ადმინისტრაციით. შესაძლებელია ზოგიერთი მათგანის გაერთიანება, მაგალითად, „იურიდიული დეპარტამენტი“ და „ომბუდსმენის ოფისი“, ასევე „სამეცნიერო კვლევისა და განვითარების დეპარტამენტი“ და „სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრი“. ეს შეესაბამება ზემოთ ხსენებულ სტრატეგიულ პრიორიტეტს (მენეჯმენტის გაძლიერება). გაერთიანებული ერთეული უფრო ეფექტური და ქმედითი იქნება.

სტრატეგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია არსებული SWOT ანალიზი და აღნიშნულია, რომ პრიორიტეტები სწორად არის შერჩეული. EEU ცდილობს მოიზიდოს მაღალი პოტენციალის საერთაშორისო აკადემიური/კვლევითი პერსონალი, ქართველი და უცხოელი სტუდენტები. ამ ამოცანებისთვის განკუთვნილია შესაბამისი ფინანსები. უნივერსიტეტი აშკარად მიისწრაფვის ინტერნაციონალიზაციისკენ. 4 სასწავლო პროგრამა ინგლისურ ენაზეა, EEU არის EUA-ს წევრი, 2015 წლიდან გაიზარდა პარტნიორებისა და უცხოური უნივერსიტეტების რაოდენობა, ასევე პროექტების რაოდენობაც. ჩამოყალიბებულია 6 კვლევითი ლაბორატორია (ფსიქოლოგიისა და ნეირომეცნიერების კვლევითი ცენტრი, გამოყენებითი კვლევების მრავალფუნქციური ცენტრი, ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი, საერთაშორისო საზღვაო სამართლისა და პოლიტიკის ინსტიტუტი, არქიტექტურის კვლევითი-საპროექტო ბიურო, მიგრაციისა და დიასპორის კვლევითი ცენტრი). უნივერსიტეტმა დაიწყო ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა - „სამეცნიერო ნაშრომთა კრებული“ (ISSN 2667-9019). ამ ჟურნალის სარედაქციო კოლეგია მოიცავს ქართველ და საერთაშორისო მეცნიერებს. ჟურნალი ქვეყნდება ბეჭდური ვერსიით, ელექტრონული ვერსია იტვირთება. ეს ხელს უწყობს უნივერსიტეტის ხილვადობას.

უნივერსიტეტი ერთობლივად აორგანიზებს სხვადასხვა სამეცნიერო, სოციალურ შეხვედრებსა და კონფერენციებს (მაგალითად, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია 2021, „ციფრული მართვა კოვიდ 19-ის პანდემიისას და პოს-პანდემიურ პერიოდში“ გამოყენებითი მეცნიერების Hochschule Fresenius უნივერსიტეტთან ერთად, გერმანია 2021 წ., ნოემბერი). საზოგადოებაში წვლილის შეტანა კარგად არის აღწერილი დოკუმენტებით, რამდენადაც უნივერსიტეტის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკა გთავაზობს უწყვეტ განათლებას, მოწყვლადი ჯგუფების ხელშეწყობას, გარემოზე ზრუნვას, აბიტურიენტთა დახმარებას. სამწუხაროდ, არ გვქონდა შესაძლებლობა გავსაუბრობოდიტ ხალხს ადგილობრივი მნიშვნელობის პოლიტიკიდან.

ექსპერტთა ჯგუფისთვის შთამბეჭდავია უნივერსიტეტის ამბიციური ამოცანა, ააშენოს ახალი კამპუსი დავაფასებთ ამ მხრივ პროგრესს. ექსპერტთა ჯგუფმა გამოხატა სურვილი, რომ ახალი კამპუსის მშენებლობის პროცესი, პანდემიის მიუხედავად, გაგრძელდეს. სწავლებისა და სწავლის ხარისხი უდავოდ გაუმჯობესდება და უფრო მაღალი იქნება ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტრატეგია 2019-2025 წწ;
- სამოქმედო გეგმა (2019-2021);
- სტრატეგიული გეგმის განვითარების პოლიტიკა და პროცედურა;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

- თითოეულ ახალ სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს

წინა გეგმების შესაბამისი მიღწევები და შესაძლო წარუმატებლობები, თავისი განმარტებებით.
<b>რჩევები:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>- თვითშეფასების ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა, წლიური თუ სხვა ანგარიშები რეგულარულად უნდა ქვეყნდებოდეს EEU-ს ვებგვერდზე.</li> </ul>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b> <ul style="list-style-type: none"> <li>- დასაფასებელია ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა სამოქმედო გეგმაში მიღწევადი პრიორიტეტების შეზღუდული რაოდენობა გაწერა.</li> <li>- განსაკუთრებით დასაფასებელია ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტი EUA -ს წევრია.</li> </ul>
<b>შეფასება</b> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

## 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

<b>2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.</li> <li>○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.</li> <li>○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.</li> <li>○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.</li> </ul>
<b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b> <p>უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა განსაზღვრულია უნივერსიტეტის რექტორის მიერ 2019 წლის 3 იანვარს და მკაფიოდ არის მოცემული წესდებაში.</p> <p>უნივერსიტეტში არის სამი ფაკულტეტი: იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტი და ჯანდაცვის ფაკულტეტი.</p> <p>უნივერსიტეტის მმართველი სუბიექტები/ორგანოებია: პარტნიორთა კრება, რექტორი, ვიცე-რექტორები, წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, წარმომადგენლობით საბჭო და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.</p> <p>ფაკულტეტებისთვის მოქმედებს ფაკულტეტის საბჭოები და ფაკულტეტის დეკანი.</p> <p>უნივერსიტეტის ძირითადი სტრუქტურული ერთეულებია: სამეცნიერო კვლევისა და განვითარების დეპარტამენტი, სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრი, ბიბლიოთეკა, განათლების დეპარტამენტი, სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტური სერვისების განყოფილება, ენების ცენტრი, უწყვეტი განათლების ცენტრი, საგამოცდო ცენტრი, სტუდენტთა ომბუდსმენის ოფისი,</p>

საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი, საწმისწარმოების დეპარტამენტი, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი, უსაფრთხოების დეპარტამენტი, კვლევითი ცენტრები/ერთეულები.

მმართველი ორგანოების უფლებამოსილება, ფუნქციები, მუშაობის წესი, არჩევა და დანიშვნა და ამასთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია წესდებით. ისინი არის გამჭვირვალე და კერძო უნივერსიტეტისათვის დამახასიათებელი, ამგვარად, უზრუნველყოფს დაწესებულების ეფექტურ მართვას. თუმცა, იურიდიული დეპარტამენტის მიერ უნდა შემოწმდეს, რომ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართულობა უნივერსიტეტის მართვაში შესაბამეა სახელმწიფო კანონებს.

მმართველი ორგანოების ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურებია რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და წარმომადგენლობითი საბჭო. უნივერსიტეტის სტრუქტურა (მოცემულია EEU-ს ორგანიგრამაში) და სტრუქტურულ ერთეულთა განსაზღვრული ამოცანები უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის ეფექტიან განხორციელებას. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა, ასევე, გაითვალისწინა 2019 წლის NCEQE-ს გარე შეფასების შედეგები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაითვალისწინა წარმომადგენლობითი საბჭოს როლის გაძლიერების საკითხი და ფაკულტეტების დონეზე კოლეგიალური ორგანოების წარმომადგენლობის საკითხიც.

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან და უცხოელ მეცნიერებთან საუბრისას მკაფიოდ გამოჩნდა და დადასტურდა, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მტკიცედ უჭერს მხარს საერთაშორისო თანამშრომლობასა და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

NCEQE-ს ექსპერტების მიერ 2019 წლის შეფასებაში გამოითქვა საყურადღებო მოსაზრება რექტორის უფლებამოსილების დაბალანსების შესახებ (თვითშეფასება, გვ. 29). ზოგადი დაკვირვების საფუძველზე, სტუდენტები და პერსონალი მეტად ჩართულები უნდა იყვნენ უნივერსიტეტის მართვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. თუმცა, სუდენტების მხრიდან დასტურდება უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესში მათი ჩართულობა. ვიზიტმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტის მენეჯმენტი ხელს უწყობს სტუდენტებს ფინანსურად და ეხმარება საერთაშორისო მობილობაში. იგივე უნდა ვრცელდებოდეს პერსონალის მობილობასა და საერთაშორისო პროექტების გაზრდაზე.

უნივერსიტეტს აქვს სტრუქტურული ერთეული - იურიდიული დეპარტამენტი. უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების არჩევის და დანიშვნის პროცედურების, ასევე, ყველა სხვა იურიდიული დოკუმენტის სახელმწიფო კანონმდებლობასთან შესაბამისობა, სიფრთხილით უნდა გადამოწმდეს.

უნივერსიტეტის სტრატეგიაში მენეჯმენტის გაძლიერება ერთ-ერთი პრიორიტეტია. თუმცა, უნივერსიტეტის 2019-2025 წლის სტრატეგიასა და 2019-2021 წლის სამოქმედო გეგმაში შევნიშნეთ მენეჯმენტის ფართო განვითარება. ვგსურს ვიხილოთ, თუ როგორ შეუწყობს ეს ხელს მენეჯმენტის გაძლიერებას, რომ იგი იყოს ქმედითი და ეფექტიანი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სტრატეგია 2019-2025წწ;
- სამოქმედო გეგმა (2019-2021);
- EEU-ს წესდება;
- უნივერსიტეტის ორგანიგრამა;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- ინტერვიუები.

<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- EEU-ს ხელმძღვანელობამ ფინანსური მხარდაჭერა უნდა გაუწიოს აკადემიური პერსონალის მობილობას და დაეხმაროს საერთაშორისო პროექტებზე განაცხადების შეტანაში.</li> <li>- რამდენადაც უნივერსიტეტში არის ენის ცენტრი და ინგლისური ენის ცოდნა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ინტერნაციონალიზაციისთვის, უნდა გაუმჯობესდეს ენის ცოდნის დონე.</li> </ul>
<p><b>რჩევები:</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- აღსანიშნავია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის მთელი პროცესი, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობით (მობილობა, პროექტები, პარტნიორობა, გაცვლითი პროგრამები).</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
<p><b>2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები</b></p>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. დაწესებულების ხელმძღვანელობა უწყვეტად მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გასაძლიერებლად და ხელს უწყობს დაწესებულებაში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.</li> <li>○ დაწესებულებას აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს მაღალი ხარისხის განათლება.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ახალგაზრდა უნივერსიტეტისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მმართველი ორგანოა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც უსდ-ს ეხმარება განავითაროს და შეინარჩუნოს ხარისხის დონე ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო საქმიანობაში. ამ სამსახურის სამუშაო ეფუძნება მოქმედ სახელმწიფო კანონებს (რომელიც ეხება ხარისხს), NCEQE-ს რეგულაციებსა და ESG სტანდარტებს.</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასებასა და განვითარებას ყველა სფეროში - სასწავლო პროგრამები, სწავლება, ადმინისტრაციული სერვისები, რესურსები, ინტერნაციონალიზაცია, კვლევა და მართვა.</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უნივერსიტეტში წარმოდგენილია შიდა და გარე შეფასების მექანიზმების ფორმით (SER, გვ. 46).</p> <p>მუშაობის უპირატესი ფორმაა კითხვარების გამოყენება.</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთ-ერთი მიღწევაა უნივერსიტეტში სტუდენტებისა და პერსონალის ოპტიმალური რაოდენობის დაგეგმვა (სიტყვა „contingency“ (თარგმანში) არასწორად იყო ამ შემთხვევაში გამოყენებული თვითშეფასების ანგარიშში). ეს მექანიზმი არეგულირებს კონკრეტულ სასწავლო პროგრამაზე ადგილების რაოდენობის გამოთვლის მეთოდს უნივერსიტეტის მიერ გაწერილი ინდიკატორების გამოყენებით, როგორებიცაა ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსები.</p> <p>შექმბას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა უნივერსიტეტმა EEU-მ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაწერა, როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთი მმართველი ორგანო. უმეტეს შემთხვევებში</p>

გამოყენებულიკითხვარების გარდა, ჩვენ,ასევე, მხარს დავუჭერთ მრგვალი მაგიდის ფორმატს, ვებინარებს, რექტორთან/სტუდენტთან/პერსონალთან გასაუბრებას და სტუდენტების აქტიურ კოლაბორაციას.

მოპოვებული მონაცემები უნდა გაანალიზდეს და მხოლოდ ტენდენციები, სუსტი მხარეებიდა შესაძლო მოქმედებები უნდა წარედგინოს პარტნიორთა კრებას, რექტორსა და წარმომადგენლობით საბჭოს.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა მოახდინოს თავისი საქმიანობის ოპტიმიზაცია. მაგალითად, აკადემიური პერსონალი ფასდება დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის, სტუდენტების მიერ და კვლევითი საქმიანობის მიხედვით. გარდა ამისა, სტუდენტების, პროგრამის პერსონალისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვები ტარდება და ანალიზდება სემესტრულად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- EEU-ს წესდება;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები;
- ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან;
- EEU-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შეგროვებული სხვადასხვა მონაცემები ეფექტურად უნდა გამოიყენებოდეს შემდგომი ანალიტიკური სამუშაოსთვის და ტენდენციების პროგნოზირების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობაში გარკვეული ოპტიმიზაციები შეიძლება იყოს საჭირო.
- არსებობს საშიშროება, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გადაიტვირთოს ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობით და მას ოპტიმიზაცია სჭირდება.
- ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით, რამდენიმე პუნქტი (ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარება, სტანდარტები (NCEQE, ESG) ავტორიზაცია, აკრედიტაცია, PDCA) უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
- კითხვარებიდან ამოღებულ შედეგებს ყოველთვის უნდა მოჰყვებოდეს რიცხვები: ვინ იყო მოწვეული გამოკითხვაში და რესპოდენტების პროცენტული რაოდენობა.
- უმეტეს შემთხვევაში, კარგი პასუხის მიღებაა შესაძლებელი, შემდეგი სამი შეკითხვის დასმით: რას შეაქვბდით EEU-ში, რა არის არც ისე კარგი უნივერსიტეტში და რა ცვლილებაა საჭირო გაუმჯობესებისთვის.

**საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ძლიერი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის უნივერსიტეტის ერთ-ერთი მართველი ორგანო.

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა**

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

EEU-ს გააზრებული აქვს კეთილსინდისიერების ეთიკის რეგულაციების არსებობის აუცილებლობა. უნივერსიტეტმა შეიმუშავა ეთიკის ნორმები როგორც ქცევის კოდექსი (ეთიკის), რომელშიც გაწერილია სტუდენტთა და პერსონალის ეთიკური პრინციპები. ქცევის კოდექსი უნივერსიტეტში 2015 წლიდან ფუნქციონირებს და პერიოდულად ხდება მისი განახლება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით. 2020 წელს დაინერგა სტუდენტთა ომბუდსმენის თანამდებობა.

EEU-ს მნიშვნელოვანი როლი აკისრია დემოკრატიისა და თავისუფალი საზოგადოების განვითარებაში. შედეგად, ეთიკის კოდექსი წარმოადგენს ეთიკური პრინციპების, ღირებულებებისა და აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ქცევის ფორმულირებას. იგი მიზნად ისახავს იმ ეთიკური პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრის ხელშეწყობას, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას მათი მუშაობის ან სწავლის პერიოდში.

უნივერსიტეტის საზოგადოება ვალდებულია მიიღოს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ღირებულებები და დაიცვას ამ კოდექსით დადგენილი წესები. EEU რეაგირებას ახდენს გადაწყვერის, პლაგიატის, თაღლითური ან გაყალბებული საკურსო ნაშრომის ან გამოცდებისა და შეფასებებზე უკანონო ქმედებისა თუ გაყალბების შესახებ ყველა ბრალდებაზე. სპეციალურად ამისთვის, EEU-მ დიდი ძალისხმევა გამოიჩინა პლაგიატისა და ინტელექტუალური საკუთრების მოპარვის გამოვლენის მიზნით და აკადემიურ პროცესებში თაღლითობისა და გადაწყვერის პრევენციის კუთხით.

ხაზგასმულია, რომ უნივერსიტეტის პრიორიტეტია არა ის, რომ რეაგირება მოახდინოს ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტებზე, არამედ დროულად შეძლოს დარღვევების პრევენცია. ამის გამო, ინფორმაცია მიეწოდება პერსონალსა და სტუდენტებს და განთავსებულია ვებგვერდზე.

აღსანიშნავია, რომ აკადემიური თავისუფლება, როგორც აზრისა და გამიხატვის თავისუფლება, უნივერსიტეტის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. სტუდენტები და პერსონალი კარგად არიან ამის შესახებ ინფორმირებული.

ბოლო დროს, ყველა უნივერსიტეტში არის არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის პრევენციის საერთო გამოწვევა. არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის გამოვლენის რამდენიმე გზა არსებობს, თუმცა მთელი ძალისხმევა უნდა დაეთმოს მის პრევენციას. შესაბამისად, აუცილებელია მუდმივი რჩევები და დარწმუნება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების - უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებული მხარის მიმართ. გირჩევთ, უნივერსიტეტის ყველა დონეზე გამართოთ დისკუსია შემდგომ საკითხზე: „არაკეთილსინდისიერება უმაღლეს განათლებაში“, უმაღლესი განათლების აკრედიტაციის საბჭო, აშშ. 2017-2018 წელს გლობალური კვლევა ჩატარდა. თუმცა, ჯერ არ არსებობს კვლევა იმის თაობაზე, თუ როგორ აღმოჩნდა არაკეთილსინდისიერება, თაღლითობა და პლაგიატი უმაღლესი განათლების სივრცეში.

სტუდენტთა ომბუდსმენის თანამდებობა ახალია EEU-ში (დაინერგა 2020 წელს და კადრებით შეივსო 2021 წელს), მაგრამ იგი წვლილს შეიტანს, ზემოთ ხსენებული გამოწვევების გადაჭრაში.

<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სტრატეგია 2019-2025წწ;</li> <li>- სამოქმედო გეგმა (2019-2021);</li> <li>- ქცევის კოდექსი;</li> <li>- ინტერვიუები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- EEU-ში მოსულ ყველა სტუდენტს უნდა ჩაუტარდეს ვრცელი შესავალი კურსი არაკეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო პრაქტიკის შესახებ.</li> <li>- სასურველია პერსონალის, სტუდენტებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის საჯარო ლექციის ჩატარება თემებზე:“რატომ აღმოჩნდა თაღლითობა, არაკეთილსინდისიერება და პლაგიატი უმაღლეს დაწესებულებაში?”</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სტუდენტთა ომბუდსმენის თანამდებობის დანერგვა.</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

### 3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p><b>3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება</b></p> <p>უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.</p>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</b></p> <p>EEU-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა დეტალურად არის აღწერილი დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“, რომელიც დამტკიცდა 2019 წელს და განახლდა წარმომადგენელთა საბჭოს მიერ 2020 წელს. იგი მოიცავს იმ საგანმანათლებლო პროგრამების ტიპების სრულ აღწერას, რომელსაც უნივერსიტეტი გვთავაზობს. ასევე, დეტალურადაა გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარების, დამტკიცების და მათში ცვლილებების შეტანის პროცესი, პოლიტიკა და პროგრამის</p>



**გაუქმების პროცედურები.**

EEU-ს პოლიტიკა ზემოთ-ხსენებულ საკითხებზე არის მკაფიო, რაციონალური და მოიცავს ყველა ინფორმაციას, რომელიც საჭიროა 3.1 მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

თვითშეფასების ანგარიშსა და უნივერსიტეტის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების საფუძველზე, ცხადი გახდა, რომ ახალი პროგრამის განვითარების პროცესისთვის (მაგალითად ციფრული მართვის სამაგისტრო პროგრამა) და, ასევე, არსებული პროგრამების განვითარებისთვის, უნივერსიტეტმა გამოიყენასაერთო პროცესი და მასში ჩართო აკადემიური პერსონალი (აფილირებული და მოწვეული), ასევე დამსაქმებლები და სტუდენტები (ახალი პროგრამისთვის, ჩართო სხვა პროგრამის იმავე დონის სტუდენტები).

თვითშეფასების განხილვა, გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალთან და დანართი 2.2.3-ის განხილვა (2019-2020 წლების პროგრესის ანგარიში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების შესახებ) გვიჩვენებს, რომ პროგრამების განვითარებისთვის EEU იყენებს რამდენიმე მეთოდს საჭიროების შეფასებისა და სასწავლო პროგრამების ხარისხის შეფასებისთვის, მათ შორის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილებას, შრომის ბაზრის საჭიროებების შეფასებას (როგორც ეს მოხდა ფინანსებში ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში) და საერთაშორისო ექსპერტიზას. ფრენიუსის უნივერსიტეტთან ერთობლივი პროექტი არის საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში საერთაშორისო წვლილის შეტანის მაგალითი.

EEU-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შეიქმნა 2017 წელს, განახლდა მიმდინარე მოვლენების შესაბამისად, კერძოდ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დარგობრივი სამიზნე ნიშნულების ცვლილების მიხედვით. ამ ცვლილების საფუძველზე, ინტეგრაციის, კერძოდ კი ჰორიზონტალური ინტეგრაციის დონე გაიზარდა და პროგრამას დაემატა უფრო პრაქტიკული და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კურსები. სტუდენტთა შეფასების მოდული შეიცვალა და დაინერგა OSCE კლინიკური როტაციების შეფასებაში. აღსანიშნავია, რომ მედიცინის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს, აღმოვაჩინეთ, რომ OSCE გამოცდები არ ჩატარებულა სტუდენტთა წინა ნაკადისთვის და მისი ჩატარება დაიწყება ახლადმიღებული სტუდენტებისთვის. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისა და მისი სილაბუსების გადახედვიდან ჩანს, რომ სწავლის შედეგები შეტანილია პროგრამაში და იგი მოიცავს შესაბამის სილაბუსებს სწავლა-სწავლების სათანადო მეთოდებით. ამკარაა, რომ დაგეგმილი კურიკულუმი სრულყოფილადარ ხორციელდება და ადგილი აქვს პროგრამის განხორციელების იდეალური სურათიდან გარკვეულ გადახრებს. იმავდროულად, ამკარაა, რომ EEU-ს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა საფუძვლიანად განახლდა დარგობრივი სამიზნე ნიშნულების განახლებული ვერსიის საფუძველზე.

EEU-ში მოქმედებს სასწავლო პროგრამების დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების კარგად განსაზღვრული რეგულაციები, რომლებიც მოცემულია დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგვა, განვითარება, დამტკიცება, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“(დანართი 3.1.1), რომელიც განახლდა 2020 წლის სექტემბერში. ამ დოკუმენტში, პროგრამების დაგეგმვის, განვითარების, დამტკიცების, მათში ცვლილების შეტანისა და გაუქმების შესახებ ყველა დეტალი არის სრულყოფილად აღწერილი, განმარტებულია თითოეული მათგანის შესრულებისთვის საჭირო სავალდებულო ნაბიჯები.

EEU-ს აქვს მკაფიო რეგულაციები, რის საფუძველზეც დაწესებულება ეხმარება გაუქმებული პროგრამების სტუდენტებს შეძლონ შიდა მობილობა შესაბამის პროგრამებზე ან შეძლონ გარე მობილობა საქართველოში არსებულ მსგავს პროგრამებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- EEU-ს „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, განვითარება, დამტკიცება, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“;
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესები;
- 2019-2020 წლების პროგრესის ანგარიში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების

შესახებ.
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>- დოკუმენტის ინგლისურენოვან ვერსიაში გარკვეული დაზუსტების შეტანამ, (რაც შესაძლოა თარგმანის ხარისხის შედეგი იყოს) შესაძლოა იგი მეტად გასაგები გახადოს.</li> <li>- სასურველია შემდგომი კვლევა განახლებული პროგრამების (განსაკუთრებით სამედიცინო პროგრამის) განხორციელების დონის შესაფასებლად (განსხვავება დაგეგმილ და განხორციელებულ პროგრამას შორის).</li> <li>- განახლებული პროგრამების თუნდაც ზოგიერთი ნაწილის განხორციელება იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ განახლებული პროგრამის მიღებამდე ჩააბარეს უნივერსიტეტში.</li> </ul>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>შეფასება</b> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>
<b>3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>o პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.</li> <li>o ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.</li> </ul>
<b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</b>
<p>უნივერსიტეტის სამივე ფაკულტეტზე - ჯანდაცვის მეცნიერებები, ბიზნესი და ინჟინერია და სამართალი და სოციალური მეცნიერებები - არსებული პროგრამებისა და სილაბუსების განხილვიდან ჩანს, რომ ყველა პროგრამა დაფუძნებულია ECTS-ზე.</p> <p>EEU-ს რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამისა და შესაბამისი სილაბუსების ნიმუშის, მათ შორის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის, განხილვიდან გამოჩნდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები დეტალურად არის განსაზღვრული და ეფუძნება ეროვნულ მოთხოვნებსა და უმაღლესი განათლების საფეხურს.</p> <p>EEU-ს სამივე ფაკულტეტზე არსებული სხვადასხვა დარგის რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამის განხილვიდან ჩანს, რომ ლოგიკური კავშირია საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებს შორის, რაც აუცილებელია საშუალო სტუდენტის მიერ კურსის დამთავრებისთვის. ამ დასკვნის კონსოლიდირება შესაძლებელია კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებთან და, ასევე, EEU-ში ვიზიტის დროს კურსდამთავრებულთან ჩატარებულ გასაუბრებასთან.</p> <p>რაც შეეხება ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამას, თვითშეფასების ანგარიშში ეს სრულად</p>

არის აღწერილი. ამ ანგარიშზე დაყრდნობით, უნივერსიტეტში არის ყოვლისმომცველი გეგმა ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისთვის, რომელიც მიმართულია სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებზე, მაგალითად უმცირესობის წარმომადგენლებზე. EEU-ში არის მსგავსი შემთხვევა, რომ უნივერსიტეტმა მხარდაჭერა გაუწია და უზრუნველყო სპეციალური პროგრამა სტუდენტისთვის, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებაშია. ამ პროგრამის საჯაროობის მიუხედავად, სტუდენტებში, ამ პროგრამასთან მიმართებით, ცნობიერების დონე 5-დან 3.62-ზეა და თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, საჭიროებს დამატებით ყურადღებას. იმავდროულად, თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, არსებობს დოკუმენტი სახელად „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“, რომელიც მოცემული უნდა იყოს დანართი 3.2.1-ი სახით. აღნიშნული დანართი ვერ მოიძებნა და როგორც ჩანს მისი მხოლოდ ქართული ვერსია არსებობს. იგი ექსპერტთა ჯგუფის ქართველმა წევრმა განიხილა და ნახა, რომ გზამკვლევი არის მკაფიო და ადეკვატური, თუმცა არა დეტალურად გაწერილი. სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის მხრიდან არსებობს მკაფიო გეგმა რეგისტრაციის საფასურის გადახდის ინდივიდუალიზების მიზნით, თუმცა სტანდარტების მიხედვით, მეტი რამ უნდა იყოს მოცემული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფის კუთხით.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები განსაზღვრულია ყველა საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსში. გასაგებია, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლისა და სწავლების მეთოდები თითოეულ ამოცანასთან ურთიერთკავშირში ვერ იქნება და, მეტნაკლებად, არსებული მეთოდების სია მიესადაგება შედეგებს. იმავდროულად, სწავლის შედეგებსა და სწავლა-სწავლების მეთოდებს შორის კავშირი გაცილებით მკაფიოდაა მოცემული სილაბუსებში. მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სილაბუსებშიც კი სწავლა-სწავლების მეთოდების მრავალფეროვნებაა ნახსენები, პროგრამაში რეალურად გამოყენებული მეთოდები, როგორც წესი, შეზღუდულია და ზოგიერთ ნაწილში ადეკვატურად ვერ ჩაითვლება. მაგალითად, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ადრეული ეტაპის მრავალ კურსში განხორციელებული სწავლა-სწავლების მეთოდები არის ლექცია და სემინარი. მიუხედავად იმისა, რომ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დარგობრივ სამიზნე ნიშნულში ხაზგასმულია ინტეგრაცია (როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური), არ მოქმედებს მულტიდისციპლინური სესიები (ძირითადი მეცნიერებისა და კლინიკური ექიმების მხრიდან), რომლებშიც PBL ან CBL-ს გამოყენებით, გაუმჯობესდება სტუდენტთა უნარი პრაქტიკაში გამოიყენონ ძირითადი მეცნიერებები, რათა გაიგონ დაავადებათა საფუძველად არსებული მექანიზმები ან განსაზღვრონ შესაბამისი კითხვები და მოიძიონ პასუხები.

მიუხედავად იმისა, რომ დიპლომირებული მედიკოსის დარგობრივ სამიზნე ნიშნულში ყურადღება გამახვილებულია პაციენტთან კომუნიკაციაზე, როგორც სწავლის რამდენიმე შედეგის მიღწევის მთავარ მეთოდზე, მათ შორის ისეთი სწავლის შედეგის, როგორებიცაა პაციენტის სამედიცინო ისტორიის აღება, ფიზიკური შემოწმება და პაციენტთან და კოლეგებთან საომუნიკაციო უნარები, მართვისა და წამლის გამოწერის უნარები, პროფესიონალიზმი და ეთიკის განვითარება, კლინიკურ როტაციებზე უშუალო დაკვირვებისას და ასევე, კლინიკური მიმართულებით აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად წარმოჩინდა, რომ სტუდენტთა შეხვედრა პაციენტებთან შეზღუდულია და ძირითადად, მაშინ ხდება, როდესაც პაციენტთა ვიზიტებს ესწრებიან.

თვითშეფასების ანგარიშში არაფერია ნათქვამი არჩევით საგნებზე. EEU-ს სამ ფაკულტეტზე არსებული სხვადასხვა პროგრამების გადახედვით, გამოვლინდარომ ზოგიერთ პროგრამას, როგორიცაა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა ან ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, აქვთ კარგად-განსაზღვრული არჩევითი საგნები. მეორეს მხრივ, არის რამდენიმე პროგრამა, რომელთაც არ აქვთ არჩევითი კომპონენტები, როგორიცაა მაგალითად, სამართლის სადოქტორო პგორამა.

არსებობს განახლებული (ბოლო ვერსია:2021წ) და ყოვლისმომცველი კატალოგი, რომელშიც მოცემულია უამრავი ინფორმაცია უნივერსიტეტის ყველა სასწავლო პროგრამის შესახებ, მათ შორის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შესახებ. იგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, (<https://bit.ly/3pCZDwb>) როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამები და სხვადასხვა პროგრამების სილაბუსები;
- დანართი 3.2.1: ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი (მხოლოდ ქართულ ენაზე).
- EEU-ს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3pCZDwb>

**რეკომენდაციები:**

- უზრუნველყოფილ იქნეს სწავლა-სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების უკეთესი თანახვედრა.

**რჩევები:**

- მეტი ყურადღება დაეთმოს იმას, რომ სტუდენტებს მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამის შესახებ.

**საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.3 სწავლის შედეგების შეფასება**

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტის ზოგად პოლიტიკასა და პროცედურებში მკაფიოდ და ამომწურავად არის აღწერილი სტუდენტთა შეფასების სისტემა, საუბარია დოკუმენტზე „საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. ამ დოკუმენტზე დაყრდნობით, შეფასების სისტემა არის ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში და, ასევე, სილაბუსებში, სადაც აღწერილია კონკრეტული პროგრამისა თუ კურსის შესაბამისი სისტემა. იგი მოიცავს შეფასების მეთოდების სრულ აღწერას, თითოეული კურსის მსვლელობისას შეფასების რაოდენობას და მათ შესაბამის წვლილს სტუდენტის საბოლოო შეფასებაში. იგი უნივერსიტეტის რეგულაციებთან მიმართებით თანმიმდევრულია და, ასევე, შეესაბამება ყველა დისციპლინასა და საგანმანათლებლო პროგრამას. შეფასების სისტემა თითოეულ პროგრამასა და სილაბუსში არის მკაფიო და ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისთვის. გასაჩივრების მექანიზმი სრულად არის აღწერილი რეგულაციებსა და საგანმანათლებლო პროგრამებში.

მართალია, EEU-ს შეფასების სისტემა არის მკაფიო და ყოვლისმომცველი, თუმცა გარკვეულწილად საყურადღებოა უნივერსიტეტის შესაძლებლობა დააკმაყოფილოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ხელშეწყობის უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნა. შეფასებების უმეტესობა შემაჯამებელი ხასიათისაა და არ არსებობს სისტემა, რომელიც უწყვეტად დააკვირდება და წარმოაჩენს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგში თითოეული სტუდენტის პროგრესის ტენდენციებს. შეფასების სისტემა, ასევე, არასაკმარისია სამუშაო ადგილზე-დაფუძნებული შეფასების კუთხით, როცა სტუდენტები კლინიკებში მორიგობენ. ერთადერთი შეფასება, რომელიც წარმოაჩენს სტუდენტთა უნარს,

გამოიყენოს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის საბოლოო შედეგები, არის, მაგალითად, OSCE გამოცდა. კლინიკური კომპეტენციების მრავალი ასპექტის შეფასებისას OSCE-ს ხარვეზების მიუხედავად, იგი არ მოქმედებს როტაციების უმეტესობისას. გასაუბრებების თანახმად, OSCE ჩატარდება იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე ჩაირიცხნენ ამ პროგრამის 2020 წლის განახლების შემდეგ, ხოლო ის სტუდენტები, რომელთაც დაწყებული აქვთ სწავლა მედიცინის პროგრამაზე, არ აბარებენ ასეთ გამოცდას, როგორც შეფასების რუტინულ ფორმას, რაც შედეგად იძლევა მნიშვნელოვან დეფიციტს სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების კუთხით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დანართი 3.3.1. შესაბამისი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რეგულაციის შესახებ;
- დანართი 3.2.1. საგანმანათლებლო პროგრამები;
- სხვადასხვა პროგრამების სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

- განვითარდეს სასწავლო გეგმის სხვადასხვა ეტაპზე თითოეული სტუდენტისთვის მონიტორინგის სისტემა.
- განმავითარებელი შეფასება (ის შეფასებები, რომლებიც წარმოაჩენს სტუდენტთა ძლიერ და სუსტ მხარეებს და არ შექვს რაიმე წვლილი კონკრეტულ კურსზე სტუდენტის საბოლოო შეფასებაში) გახდეს სტუდენტთა შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილი.
- სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასების უფრო ამომწურავად გამოყენება.
- OSCE/OSPE ტიპის გამოცდების ადრეული დანერგვა იმ სტუდენტებისთვისაც კი, რომლებიც დიპლომირებული მედიკოსის ძველ პროგრამაზე არიან ჩარიცხული.

**რჩევები:**

**საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- შეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4. უსდ-ის პერსონალი**

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, დაწესებულება მუდმივად ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

**4.1. პერსონალის მართვა**

- o უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს

საგანმანათლებლო	პროცესის	და	სტრატეგიული	გეგმით
განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.				
○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.				

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკისა და რეგულაციების დოკუმენტური ანალიზი მოწმობს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს ადეკვატური, განვითარებაზე ორიენტირებული, პერსონალის მართვის პოლიტიკა. უნივერსიტეტის წესდება მოიცავს მისიის განაცხადს, რომელიც პერსონალს ეხმარება აკადემიურ, მორალურ და სამოქალაქო განვითარებაში, უზრუნველყოფს რა მათ მაღალი ხარისხის სწავლებით, სამეცნიერო კვლევითა და სტიპენდიებით. უფრო მეტიც, წესდების მესამე თავში მოცემულია უნივერსიტეტის პერსონალთან დაკავშირებული ასპექტების მარეგულირებელი ზოგადი პრინციპები: აკადემიური პერსონალის შემადგენლობა და შერჩევის პრინციპები, პერსონალთან სამართლებრივი ურთიერთობა, პერსონალის, მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის უფლებები და პასუხისმგებლობები, პერსონალის განვითარების მექანიზმები, ქვევის კოდექსი. უნივერსიტეტის ქარტია (თავდაპირველად დამტკიცდა 2015 წელს და შემდგომ განხლდა 2020-ში) დეტალურად აღწერს უნივერსიტეტში არსებულ სამუშაო პირობებს. პერსონალის მართვის შესახებ უნივერსიტეტის პოლიტიკა მიღებულ იქნა 2020 წელს. დოკუმენტში აღწერილია პერსონალის მართვის ზოგადი ასპექტები და პრინციპები, დასაქმებისა და შერჩევის პრინციპები, შრომითი ურთიერთობები, პერსონალის შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება, შრომით კმაყოფილების გამოკითხვების ჩატარება და შედეგების გამოყენება, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, გათავისუფლების პროცედურის რეგულირება, ადამიანური რესურსების სისტემის განვითარება, პერსონალის მენეჯმენტის დოკუმენტაციის მართვა, მიმართვა. 2019 წელს მიღებული აკადემიური პერსონალის აფილირების წესი განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირების პროცედურას, ასევე, აფილირების კრიტერიუმებს, უნივერსიტეტის უფლებებსა და პასუხისმგებლობებს აფილირებული პერსონალის მიმართ და პირიქით, აფილირების გაუქმება და ა.შ. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცდა 2020 წელს, განსაზღვრავს თვისებრივ და რაოდენობრივ ინდიკატორებზე დაფუძნებულ შეფასებას და ხორციელდება აკადემიური წლის ბოლოს. დოკუმენტი მოიცავს ორ მსხვილ ინდიკატორს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების კუთხით: სამუშაოს რაოდენობა და ხარისხი. გარდა ამისა, დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი შეფასების კრიტერიუმები ორივე ინდიკატორისთვის. წარმომადგენლობითი საბჭოს წესდება წარმოაჩენს, უნივერსიტეტის დონეზე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აკადემიური პერსონალის ჩართულობის შესაძლებლობას. ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები მოწმობს, რომ უნივერსიტეტის პერსონალი ინფორმირებულია შიდა პოლიტიკასა და რეგულაციებზე. მათ განაცხადეს, რომ საჭიროების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ დახმარებისთვის მიმართონ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს, რათა დააზუსტონ უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკასთან დაკავშირებული კონკრეტული ასპექტები. ისინი იყენებენ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ შესაძლებლობებსა და პრივილეგიებს, მონაწილეობას იღებენ პროგრამის განვითარების პროცესსა თუ ნებისმიერ სხვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც განსაზღვრულია აკადემიური პერსონალისთვის. თუმცა, პერსონალის საქმიანობისა და კმაყოფილების შეფასების გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, რომ რესპოდენტების დიდი უმეტესობა (68.6%) არ არის ჩართული უნივერსიტეტის/ფაკულტეტის მართვაში, 20% ნაწილობრივ არის ჩართული, ხოლო 11.4% აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში. ზემოთ ხსენებული მიუთითებს იმაზე, რომ უნივერსიტეტმა უნდა მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოს პერსონალის ჩართულობა უნივერსიტეტის მართვის პროცესში და ამით უზრუნველყოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესისადმი თანამონაწილეობითი მიდგომა.

**პერსონალის დასაქმების პროცესი, რომელიც გამოიყენება უნივერსიტეტში, არის ღია და გამჭვირვალე.** პროცესს, თანამშრომლობის საფუძველზე, ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსების დეპარტამენტი და საგანმანათლებლო ერთეულები, სადაც ადამიანური რესურსების დეპარტამენტი უმეტესად პასუხისმგებელია პროცესის ტექნიკურ ასპექტებზე, ხოლო საჭირო კვალიფიკაციებისა და ვაკანტური ადგილების რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულების მიერ. ვაკანტური ადგილის შესახებ განცხადება ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. შერჩევის პროცესი მოიცავს განცხადებების წინასწარ გადარჩევას, პირისპირ გასაუბრებას კანდიდატებთან და თუ საჭიროა, სადემონსტრაციო ლექციების ჩატარებას. უნივერსიტეტს აქვს პერსონალის გამოსაცდელი ვადით სამუშაოზე აყვანის უნიკალური პრაქტიკა, რაც შესაძლებლობას აძლევს დამსაქმებელსაც და დასაქმებულსაც წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები თანამშრომლობის მხრივ და გაუზიარონ ერთმანეთს შრომითი ეთიკა. პარტნიორთა კრებამ დაადასტურა, რომ კონკურენტუნარიანი პერსონალის დასაქმება წარმოადგენს უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს და რომ ყოველთვის ცდილობენ მოიხიდიონ საერთაშორისო გამოცდილების მქონე ადამიანები. რექტორები და ვიცე-რექტორები ადასტურებენ, რომ უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილი აკადემიური გარემო, ასევე, სხვადასხვა შიდა კვლევითი გრანტების მოპოვების შესაძლებლობა და ზოგადად სწავლების ხარისხი, უნივერსიტეტს ხდის სასურველ დამსაქმებელს კვალიფიციური პერსონალისთვის. თუმცა, პოტენციური კანდიდატების საერთო რაოდენობა, რომელიც უნივერსიტეტმა მოგვარა ერთ კონკრეტულ დასაქმებასთან დაკავშირებით არ იყო შთამბეჭდავი (მაქსიმუმ 3 კანდიდატი 2 ვაკანტური ადგილისთვის და/ან 1 კანდიდატი 1 ვაკანსიისთვის). რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აწარმოოს პოტენციური კანდიდატების რაოდენობის აღრიცხვა და შეიტანოს ასეთი ტიპის ანალიზი მომავალ თვითშეფასების ანგარიშში. ეს დაეხმარებოდა უნივერსიტეტს, წარმოაჩინოს კონკურენტუნარიანობა ქვეყანაში არსებულ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებით.

აკადემიური, მოწვეული/ადმინისტრაციული პერსონალის რეზიუმეების დეტალურმა განხილვამ გვიჩვენა, რომ **უნივერსიტეტის მიერ დასაქმებული პერსონალი არის მაღალკონკურენტუნარიანი და კვალიფიციური.** მათ აქვთ შესაბამისი აკადემიური ხარისხები, შესაბამის დარგებში, მონაწილეობენ აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობაში, უნივერსიტეტის პოლიტიკისა და რეგულაციების შესაბამისად. თუმცა, ჩანს, რომ მოწვეული ლექტორები უფრო მეტად არიან ჩართულები კვლევით საქმიანობაში, ვიდრე აფილირებული პერსონალი (ამას უფრო დეტალურად შევხებით მე-6 სტანდარტის განხილვისას); 2019-2025წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმაში მოცემულ SWOT ანალიზში, უნივერსიტეტი სამართლიანად მიუთითებს პერსონალის კვალიფიკაციას საგანმანათლებლო დაწესებულების ძლიერი მხარეების ჩამონათვალში. თუმცა, კვალიფიციური აკადემიური პერსონალის ხელმისაწვდომობა. ასევე, ნახსენებია საფრთხეებშიც, რომლის საპასუხოდ 2019-2025წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა უნივერსიტეტის ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტად განსაზღვრავს კვალიფიციური ადამიანური რესურსების მოზიდვას, შენარჩუნებას და განვითარებას.

**შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს,** მათ შორის შრომის კოდექსში ბოლო პერიოდში შეტანილ მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია შრომის უსაფრთხოებასთან და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებასთან. ხელშეკრულების პირობები სამართლიანია. თუმცა, პოტენციურ დასაქმებულებს მცირე ბერკეტი მაინც გააჩნიათ, რომ ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, კონტრაქტის პირობებზე მოლაპარაკებები აწარმოონ.

**უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს თანამშრომელთა მართვის პროცესში.** უნივერსიტეტის პერსონალის შეფასება ხდება სტუდენტების მიერ, წინასწარ შედგენილი კითხვარების გამოყენებით. ამ კითხვარების ანალიზი უნივერსიტეტს შესაძლებლობას აძლევს გასცეს კონკრეტული რეკომენდაციები პერსონალისთვის, საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. უფრო მეტიც, აკადემიური პერსონალი ჩართულია

თვითმემოწმებაში და ასახელებს პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელ საჭიროებებს. უნივერსიტეტი ითვალისწინებს და მხარს უჭერს ტრენინგების, კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებას და ა.შ. უწყვეტი განათლების ცენტრის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ერთეული განსაზღვრავს სამიზნე ნიშნულებს პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, უნივერსიტეტში განხორციელებული ინოვაციების და რეალური სწავლა/სწავლების პროცესის შეფასების საფუძველზე. უახლეს მაგალითებად დასახელდა ტრენინგები დისტანციური სწავლების ინსტრუმენტებზე, საგანმანათლებლო პროცესის ახალი მონაცემთა ბაზების გამოყენებაზე, საერთაშორისო ელექტრონული ბაზების გამოყენებაზე და ა.შ. ჩატარებული ტრენინგების წარმატება იზომება მონაწილეების რაოდენობით, ასევე, მონაწილეთა და ტრენინგების/ექსპერტებისთვის განკუთვნილი შეფასების კითხვარებით, რომლებსაც ავსებენ ტრენინგებამდე და მის შემდეგაც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის წესდება;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ქარტია;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის შეფასება;
- აღმოსავლეთ უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- აღმოსავლეთ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წესდება;
- 2019-2025წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორების და ადმინისტრაციული პერსონალის რეზიუმეები;
- შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები;
- აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების კითხვარები;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

- უნივერსიტეტის/ფაკულტეტის მართვის პროცესში პერსონალის ჩართულობის გადახედვა და დახვეწა, პერსონალის წევრებისთვის სხვადასხვა პროცესებში ჩართვის შესაძლებლობის მიცემით.
- იმ პოტენციურ კანდიდატთა რაოდენობის აღრიცხვა, რომელთაც განაცხადი შეაქვთ აკადემიურ თანამდებობებზე და მომავალ თვითშეფასების ანგარიშში ანალიზის შეტანა, იმის წარმოსაჩენად თუ რამდენად კონკურენტუნარიანია უნივერსიტეტი ქვეყანაში არსებულ სხვა უმაღლეს განმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებით.
- პოტენციურ დასაქმებულებთან კონტრაქტებზე მოლაპარაკებების პრაქტიკის დანერგვა, რათა აისახოს დასაქმებული პერსონალის ინდივიდუალური საჭიროებები.

**საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**



**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა**

უსდ-ის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა დაწესებულებაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ადეკვატურია.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორებისა და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა შეესაბამება უნივერსიტეტში, ამჟამად, ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობას. სტუდენტთა კონტიგენტის რაოდენობის განსაზღვრის და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის პოლიტიკა მკაფიოდ განსაზღვრავს მეთოდოლოგიას, რომლითაც გამოითვლება თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობასა და ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობას შორის. უფრო მეტიც, დოკუმენტში გაწერილია, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი უნდა შეადგენდეს პროგრამების საერთო მოცულობის სულ მცირე 50%-ს, ხოლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის სულ მცირე 50% უნდა იყოს უნივერსიტეტთან აფილირებული. მოწვეული ლექტორების რაოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო კომპონენტების მიხედვით. თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ უნივერსიტეტის პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენს 390-ს (158 აკადემიური პერსონალი, მათ შორის აფილირებული, რომელიც შეადგენს პერსონალის საერთო რაოდენობის 40.5%-ს; 96 აფილირებული პერსონალი - 24.6%-ს პერსონალის საერთო რაოდენობის; 148 მოწვეული პერსონალი - 37.9%-ს პერსონალის საერთო რაოდენობის და 84 ადმინისტრაციული პერსონალი, რაც პერსონალის საერთო რაოდენობის 21.5%-ია). აღნიშნული დასტურდება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი რეზიუმეებით. იგივე ანგარიშში ნაჩვენებია, რომ 2020 წელს აფილირებული პერსონალი იყო 92, რაც მცირე შემცირებას წარმოადგენს წინა რაოდენობასთან შედარებით. რამდენადაც პოლიტიკა განსაზღვრავს თითოეული პროგრამისთვის საჭირო პერსონალის პროცენტულ რაოდენობას, მოსახერხებელი იქნებოდა, რომ თვითშეფასების ანგარიშში, ასევე, შეტანილი ყოფილიყო სტატისტიკური ინფორმაცია კონკრეტული პროგრამებისთვის განკუთვნილი პერსონალის პროცენტულ რაოდენობაზე, რათა ამგვარად დადასტურებულიყო პოლიტიკასთან შესაბამისობის პრაქტიკა.

თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ აკადემიური სამუშაო დატვირთვა განისაზღვრება 4 კომპონენტზე დაყრდნობით: საგანმანათლებლო საქმიანობა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, საკონსულტაციო საათები, უნივერსიტეტის ღონისძიებებში/აქტივობებში მონაწილეობა. პოლიტიკა განსაზღვრავს ყოველკვირეული სავალდებულო სამუშაო დატვირთვის მაქსიმუმს თითოეული კომპონენტის მიხედვით, აკადემიური პერსონალის სტატუსის შესაბამისად (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, მოწვეული ლექტორი). უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული აკადემიური სამუშაო დატვირთვის სქემა გვიჩვენებს, რომ პერსონალი აჭარბებს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ყოველკვირეულ სავალდებულო სამუშაო დატვირთვას (მაგალითად, ლილი ბიბილაშვილის, ავთანდილ გაგნიძის, შალვა მაჭავარიანის, მიხეილ თოქმაზაშვილის, დავით ბოსტაძანაშვილის, გიორგი გახელაძის, ბესიკ მეურმიშვილის და სხვათა შემთხვევაში.). გარდა ამისა, სქემა გვიჩვენებს აკადემიური პერსონალის დატვირთვის სხვა უსდ-ებშიც. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, როგორც წესი, აკადემიურ პერსონალს სთხოვს, რომ წარმოადგინონ სხვა უსდ-ში მათი აკადემიური სამუშაო დატვირთვის წერილობითი მოწმობა, რათა

უზრუნველყონ საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობა. საერთო ჯამში, აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვა შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს, რომელიც 40 საათიან სამუშაო კვირას გულისხმობს. თუმცა, აკადემიური პერსონალის გადაჭარბებულ სამუშაო დატვირთვას შესაძლოა გავლენა ჰქონდეს პერსონალის მიერ ცხოვრებისა და სამსახურის დაბალანსების შესაძლებლობაზე და მეორეს მხრივ, ამან შესაძლოა საფრთხის ქვეშ დააყენოს უნივერსიტეტში სწავლების ხარისხი. ამგვარად, რჩევა იქნება, გადაიხედოს აკადემიური სამუშაო დატვირთვის პოლიტიკა, კერძოდ, აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის და შემუშავდეს სწავლების ხარისხის გაუარესების რისკის პრევენციის მექანიზმი.

**უნივერსიტეტში მოქმედებს აფილირების მარეგულირებელი წესი.** აფილირების წესი განსაზღვრავს პროცედურებს, ასევე, მხარეთა უფლებებსა და პასუხისმგებლობებს. პოლიტიკა მკაცრად განსაზღვრავს, რომ პირი შეიძლება იყოს აფილირებული უნივერსიტეტთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აფილირების პირობები მისთვის მისაღებია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სტუდენტთა კონტიგენტის რაოდენობის განსაზღვრის და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის პოლიტიკა;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი;
- გასაუბრებების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- გადაიხედოს აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის პოლიტიკა, განსაკუთრებით აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის და ჩამოყალიბდეს გონივრული მექანიზმი სწავლების ხარისხის გაუარესების რისკის პრევენციისთვის.

**რჩევები:**

- სასურველია კონკრეტულ პროგრამებზე მომუშავე პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული) შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეტანა თვითშეფასების ანგარიშში, უნივერსიტეტის პოლიტიკასთან შესაბამისობის დაზუსტების მიზნით.

**საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას; სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, კარიერული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს; ასევე

უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად, უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

<p><b>5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.</li> <li>○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.</li> </ul>
--

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტის ვებგვერდზე (<https://eeu.edu.ge/>) განთავსებული ინფორმაციისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ასევე, უნივერსიტეტის მიერ ვიზიტამდე მოწოდებული ხელშეკრულების ნიმუშების შეფასების შემდეგ, გამართლებული იქნება იმის თქმა, რომ სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები გამჭვირვალე და სამართლიანია და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. ინფორმაცია ამ საკითხებთან დაკავშირებით არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი. შემოსხენებული დოკუმენტები ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურ ენებზე და ისინი გადაეცა ექსპერტთა ჯგუფს შესაფასებლად. აღნიშნული დოკუმენტების ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე.

უნივერსიტეტს აქვს სტუდენტთა სახელმძღვანელო, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე. იგი წარმოადგენს მთლიან დოკუმენტს, რომელიც შეიცავს ყველა შესაბამის ინფორმაციას და რეგულაციების აღწერას ნათელ და გასაგებ ენაზე.

ინგლისურ ენაზე: <https://eeu.edu.ge/wp-content/uploads/2020/11/INTER.-STUD.-GUID-2021.pdf>

ქართულ ენაზე: [eeu.edu.ge/wp-content/uploads/2020/11/EEU-სტუდენტის-გზამკვლევი.pdf](https://eeu.edu.ge/wp-content/uploads/2020/11/EEU-სტუდენტის-გზამკვლევი.pdf)

თვითშეფასების დოკუმენტში, რაოდენობრივი მონაცემების შესახებ აბზაცის თანახმად, უნივერსიტეტის ზღვრული რაოდენობაა 1200 სტუდენტი. სტუდენტების რეალური რაოდენობაა 1017, მათ შორის არის შეჩერებული სტატუსის მქონე 626 სტუდენტი. მოთხოვნილია სტუდენტების ახალი ზღვრული რაოდენობა - 2100.

შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების მთავარი პრობლემა შეიძლება იყოს კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული ფინანსური მიზეზები, რადგან ისინი არ დარეგისტრირებულან მომავალი სემესტრისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტსა და სტუდენტური სერვისების განყოფილებას მრავალი მეთოდი აქვთ დანერგილი, რათა ფინანსურად დაეხმარონ ასეთ სტუდენტებს და შეუნარჩუნონ მოტივაცია და ინტერესი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიმართ. (ამ მექანიზმებისა და მხარდაჭერის სერვისების აღწერა შეგიძლიათ იხილოთ ქვე-სტანდარტში 5.2.). ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ცდილობს შექმნას სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, რაც ხორციელდება ცალკეული განყოფილებებისთვის სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების გამოყოფით. ამ ქვესტანდარტის გამო, სტუდენტური ომბუდსმენის ოფისი არის ცალკეული განყოფილება, რომელსაც ევალება სტუდენტების ინფორმირება მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შესახებ. ეს განყოფილება ახალი დაარსებულია. ამგვარად, ექსპერტთა ჯგუფისთვის შეუძლებელი იყო ობიექტურად შეეფასებინა ომბუდსმენის ოფისის წარმატების მაჩვენებელი. თუმცა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა დეპარტამენტისთვის გამოყო ადამიანური და მატერიალური რესურსები და ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ თუ უნივერსიტეტი მხარდაჭერას გააგრძელებს, ამ განყოფილებას დიდი პოტენციალი ექნება. სტუდენტური ომბუდსმენის პასუხისმგებლობა დაეხმაროს სტუდენტებს იურიდიულ საკითხებში, იქნება ეს დაკავშირებული სტუდენტურ კონტრაქტთან, სტატუსის შეჩერებასთან ან/და შეწყვეტასთან თუ მსგავს იურიდიულ საკითხთან.

უნივერსიტეტს აქვს სამი ფაკულტეტი, რომლებიც განათლების სრულიად განსხვავებულ დარგებს წარმოადგენს და საჭიროებს შეფასების ინდივიდუალურ მეთოდებს. (როგორც აღწერილია სტანდარტში 3.0). ამგვარად, საგამოცდო ცენტრი განსაკუთრებით საინტერესო იყო ექსპერტთა ჯგუფისთვის. ეს განყოფილება ვალდებულია გააკონტროლოს სწავლისა და სწავლების ხარისხი წერილობითი გამოცდის ყველა ტიპის საშუალებით. ნებისმიერი სახის, დარგის სპეციფიკურ გამოცდებს თავად ფაკულტეტები ატარებენ. ყველა წერილობითი გამოცდა ტარდება კომპიუტერულ განყოფილებებში, რომელიც განთავსებულია წინა ავტორიზაცია გავლილ შენობაში. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში ვიზიტი, როგორც მე-7 სტანდარტშია აღწერილი, მოიცავდა ორ შენობაში ვიზიტს. მათ შორის იყო აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ახლად ამენებული შენობა. ამ შენობაში საგამოცდო ცენტრი, კვლევითი საქმიანობის ლაბორატორიასთან ერთად, დამოუკიდებელი განყოფილებაა. ეს შენობა ორსართულიანია. პირველი სართული გამოიყენება საგამოცდო ცენტრისთვის, ხოლო მეორე - კვლევითი ლაბორატორიისთვის. ეს შენობა ჯერ დასრულებული არ იყო და, ამიტომ, შეუძლებელი იყო საგამოცდო ცენტრის ახალი განყოფილებების შეფასება, მაგრამ ამჟამად ჩანდა, რომ მშენებლობა სწრაფი ტემპით მიდიოდა. დასრულებამდე ამ ცენტრს ძველ განყოფილებაში დარჩენა და ძველი ობიექტებით სარგებლობა მოუწევს. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ამჟამად იყო, რომ საგამოცდო ცენტრი აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით, რათა ზუსტად შეაფასოს უნივერსიტეტის ნებისმიერ დისციპლინაში მიღებული ცოდნა. ინტერვიუების დროს რესპონდენტებმა დაარწმუნეს ექსპერტთა ჯგუფი, რომ საგამოცდო ცენტრს მჭიდრო თანამშრომლობა აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტთან, რაც იწვევს თაღლითობისა და გადაწერის თავიდან აცილებას.

ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, არის ის, რომ უნივერსიტეტი სტუდენტზე ორიენტირებული დაწესებულებაა. სტუდენტები ესწრებიან წარმომადგენლობით საბჭოს და ფაკულტეტის საბჭოს. ისინი მონაწილეობენ ამ დეპარტამენტების ყველა იურიდიულ საქმიანობაში და მონაწილეობას იღებენ განხილულ საკითხებში. ინტერვიუების დროს როგორც აღნიშნა, დიპლომის/სერთიფიკატისა და დიპლომის დანართის გაცემის პროცედურები ხორციელდება დროულად, სწავლის დამთავრებიდან ერთ ან ორ თვეში, სამართლებრივი პროცედურებისა და უნივერსიტეტის რეგლამენტის შესაბამისად.

უნივერსიტეტს აქვს მრავალი დამოუკიდებელი განყოფილება, რათა უზრუნველყოს თითოეული სტუდენტის ინფორმირება მისი უფლებების შესახებ, რაც მოიცავს დროულ და ეფექტურ პროცედურებს, ასევე, ელექტრონული სისტემები და პლატფორმები. ყველა მექანიზმი, რომელიც უკავშირდება სტუდენტთა კანონიერი ინტერესების დაცვას, აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობასთან დაკავშირებული სტუდენტთა საჩივრების განხილვას, კითხვარებსა და ანონიმურობას, უფრო მკაფიოდ არის განხილული 5.2 პუნქტში - სტუდენტთა დახმარების სერვისები. აღნიშნული პუნქტში მოცემულია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სტუდენტური სახელმძღვანელო:  
ინგლისურ ენაზე: <https://eeu.edu.ge/wp-content/uploads/2020/11/INTER.-STUD.-GUID-2021.pdf>  
ქართულ ენაზე: [eeu.edu.ge/wp-content/uploads/2020/11/EEU-სტუდენტის-გზამკვლევი.pdf](https://eeu.edu.ge/wp-content/uploads/2020/11/EEU-სტუდენტის-გზამკვლევი.pdf)  
<https://eeu.edu.ge/>
- ონლაინ შეხვედრა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან, უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან; ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან; სტუდენტურ თვითმმართველობასთან; სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტური სერვისების განყოფილებასთან; უწყვეტი განათლების ცენტრთან.

- თვითშეფასების ანგარიში, დანართები და სხვა შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც მოწოდებულია დაწესებულებაში ვიზიტამდე.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- შეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები**

- o სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება.
- o უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებასა და ჩართულობას საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს.
- o უსდ-ში მოქმედებს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა დახმარების სერვისები ყოველმომცველია და მოიცავს თანამშრომლობას მრავალ განყოფილებას ანუ ერთეულს შორის. ეს ერთეულებია: რომუდსმენის ოფისი - რომელიც პასუხისმგებელია სტუდენტების იურიდიულ პრობლემებზე და ყველა სახის იურიდიულ დახმარებაზე (როგორც აღწერილია 5.1 ქვე-სტანდარტში); სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც ძირითადად სტუდენტებს შორის განახლებული და ზუსტი ინფორმაციის გავრცელებას ემსახურება და აგრეთვე პასუხისმგებელია სტუდენტებზე ორიენტირებული ექსტრაკურსული ღონისძიებების განხორციელებაზე, როგორცაა: სპორტული აქტივობები, სხვადასხვა სტუდენტური კლუბები და ა.შ.;

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, რომელიც მუშაობს შემოსულ ან გამავალ სტუდენტებთან. ეს გულისხმობს მათ კონსულტირებას, საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში დახმარებას, შიდა და გარე სტიპენდიების მართვას და მთელი გაცვლითი სემესტრის დაგეგმვას.

სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტური სერვისების განყოფილების მთავარი დეპარტამენტი უწყვეტი განათლების დეპარტამენტთან ერთად პასუხისმგებელია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერულ მხარდაჭერაზე, ასევე, ხელს უწყობს უცხოელი სტუდენტებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების ინტეგრაციას. ეს დეპარტამენტები პასუხს აგებენ სტუდენტური მომსახურების ყველა დეპარტამენტს შორის დროულ თანამშრომლობასა და გაცვლაზე. აქვე უნდა აღინიშნოს სხვა ასპექტებიც, მაგალითად, პროგრამის კოორდინატორის პოზიცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ჰგავს პროგრამის ხელმძღვანელის კონსულტანტის თანამდებობას, რადგან სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათთვის პროგრამის კოორდინატორი არის

საკონტაქტო პირი საგანმანათლებლო ან სხვა სახის საკითხებთან და პრობლემებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი იყენებს მრავალ ელექტრონულ და პროგრამულ პლატფორმას სხვადასხვა ფუნქციისთვის:

EEU-EL (ელექტრონული პროცესების მართვის სისტემა) - როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს ინტერვიუების დროს, არის მთავარი პლატფორმა სხვადასხვა გამოყენებით. ამ სისტემაში სტუდენტები იღებენ დავალებებს, შეფასებას, უკუკავშირს, სალექციო მასალებს და ა.შ. EEU-EL აერთიანებს „მაიკროსოფტ თიმის“ პროგრამას და გამოიყენება ლექციებისა და ონლაინ გაკვეთილებისთვის. როგორც ინტერვიუების დროს აღინიშნა, ის წარმატებულად ფუნქციონირებდა პანდემიის დროს. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის დაწყებისთანავე, უნივერსიტეტი დაუყოვნებლად დაუკავშირდა მათ, დაეხმარა „მაიკროსოფტ თიმის“ (Microsoft Teams) ინსტალაციის პროცესში და გააქტიურებაში, ასევე, მიაწოდა „იუთუბის“ შესაბამისი სახელმძღვანელო ბმულები.

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განსხვავებულ წრეებში ატარებს სხვადასხვა ტიპის გამოკითხვებს ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ და შედეგებს ავრცელებს შესაბამის პირებსა და სამსახურებში. აკადემიურმა და დამხმარე პერსონალმა დაადასტურა, რომ შეკრებილი ინფორმაცია გამოსადეგი იყო და აპირებდა მის გამოყენებას საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. EEU-EL აერთიანებს ონლაინ გამოკითხვის შესაძლებლობებს, რომლებიც „სერვეი მანქისთან“ (“survey monkey”) ერთად უზრუნველყოფს ზუსტ და ყოვლისმომცველ პასუხებს. გამოკითხვებზე პასუხის გაცემა სტუდენტებისათვის სავალდებულო არ არის. ეს პლატფორმები სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჰქონდეთ არჩევანის თავისუფლება კითხვარების შევსებასთან დაკავშირებით. გამოკითხვების ორი პლატფორმის გამოყენებას ასეთი ახსნა აქვს: „სერვეი მანქი“ (“survey monkey”) აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს გამოიყენოს უფრო რთული კითხვარები, რაც, ჯერჯერობით, მხოლოდ EEU-EL-ის კვლევის ფუნქციებით არ არის შესაძლებელი. ელექტრონული პროცესების მართვის სისტემა - EEU-EL ასევე საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეავსონ საჩივარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამ პლატფორმებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ.

სტუდენტები იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის პირად მისამართზე, რომელიც მათ ეძლევათ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში მიღების მომენტში. ისინი, ასევე, იღებენ ტექსტურ (SMS) შეტყობინებებს. ახალი ამბები და სხვა შესაბამისი ინფორმაცია, ასევე, ვრცელდება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ფეისბუქ გვერდზე.

უწყვეტი განათლების დეპარტამენტი, რომელიც, ასევე, ხელმძღვანელობს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დასაქმების სამსახურის დამსაქმებელთა დიდ ქსელს, ეხმარება სტუდენტებს მოემზადონ სამუშაოს ეფექტური ძიებისთვის. ელექტრონული პლატფორმებისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით ისინი კონტაქტში რჩებიან სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთანაც კი და აცნობენ მათ შესაძლო ვაკანსიების შესახებ.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტები იღებენ წახალისებას სხვადასხვა ექსტრაკურსულუმის აქტივობებში, კლუბებში, სპორტულ თუ კულტურულ აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად, რომელთაც მართავს უნივერსიტეტი ან თავად სტუდენტები. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ფეხბურთის გუნდს აქვს წარმატების კარგი მაჩვენებელი. სასწავლებელი, ასევე, აწყობს სხვადასხვა ღონისძიებას მაგიდის ჩოგბურთისთვის და აქვს საჭადრაკო კლუბი.

სტუდენტები ორგანიზებას უკეთებენ ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებსა და აქტივობებს, რომლებზეც წარმოაჩენენ საკუთარ შესაძლებლობებს ინიციატივის აღების, შემოქმედებითი კუთხით, მართავენ ბიუჯეტს და მოიძიებენ სპონსორებს. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს სპეციალური საბიუჯეტო ხაზი იმ აქტივობების დასახმარებლად, რომლებსაც წვლილი შეაქვს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მიზნებში. 2021 წლის ბიუჯეტში უნივერსიტეტმა გამოყოფილი

მნიშვნელოვანი თანხა როგორც სტუდენტური თვითმმართველობისთვის, ასევე სტუდენტების სტიპენდიებისა და სხვა სახის დაფინანსებისთვის, მათი მხარდაჭერისა და წახალისებისთვის. ამ დოკუმენტისა და თანხის ნახვა შესაძლებელია დანართი 7.4.1-ის ბიუჯეტში. (მოწოდებული იყო დაწესებულებაში ვიზიტამდე). ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მარკეტინგისა და რეკლამირების ბიუჯეტი ცალკეა გამოყოფილი.

როგორც პუნქტ 5.1-შია ნათქვამი, კოვიდ-19-ის პანდემიის გამო ბევრი სტუდენტი ვერ დარეგისტრირდა მომავალი სემესტრებისთვის, რის შედეგადაც მათ სტატუსი შეუჩერდათ. ამიტომ, უნივერსიტეტმა განურჩევლად ყველა სტუდენტს მისცა ადმინისტრაციული რეგისტრაციის საშუალება სიმბოლურ ფასად - 50 ლარად. უნივერსიტეტმა, ასევე, დაიწყო სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა და წახალისა კიდევ ისინი, რომ შემოეთავაზებინათ ინდივიდუალური გადახდის სქემა. თითოეულ სტუდენტს შეუძლია ჰქონდეს ინდივიდუალური გადახდის სქემა და როგორც ინტერვიუების დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, ზოგიერთმა მათგანმა გამოიყენა ეს შესაძლებლობა.

ამ უნივერსიტეტის ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკაა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მეთოდოლოგია, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, საკუთარი საჭიროებების შესაბამისად შეადგინონ გრაფიკი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა ხდება პროგრამის ხელმძღვანელებისა და ფაკულტეტის დეკანის თანამშრომლობით. უნივერსიტეტს უკვე აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის უნიკალური შემთხვევა, რომელიც შეიქმნა პენიტენციურ სისტემაში მყოფი სტუდენტისთვის. უნივერსიტეტმა მოახერხა, რომ ამ სტუდენტს ონლაინ რეჟიმში მონაწილეობა მიეღო ყველა მეცადინეობაში, ჰქონოდა წვდომა მთელ ლიტერატურასა და პროგრამის დასრულებისათვის საჭირო სხვა მასალებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დაწესებულებაში ვიზიტი; ობიექტებზე დაკვირვება; კომპიუტერები; ლაბორატორიები; საგამოცდო ოთახები;
- <https://eeu.edu.ge/>
- ონლაინ შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან, უნივერსიტეტის, ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტის, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სტუდენტური თვითმმართველობის, სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტური სერვისების განყოფილების, უწყვეტი განათლების ცენტრის წარმომადგენლებთან.
- თვითშეფასების ანგარიში, დანართები და სხვა შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც მოწოდებულია დაწესებულებაში ვიზიტამდე.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- შეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**

უსდ, თავისი ფორმისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და ამ საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

**6.1 კვლევითი საქმიანობა**

- o უსდ, მისი ტიპისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- o სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- o უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციონაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

მას შემდეგ, რაც 2015 წელს უნივერსიტეტისასწავლო უნივერსიტეტიდან გარდაიქმნასასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად, კვლევა გამოცხადდა, როგორც მისიის პრიორიტეტული მიმართულება. კვლევის განვითარების მიზნები და ამოცანები განსაზღვრულია 2019-2025 წლების სტრატეგიული გეგმით და 2019-2025 წლების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიით (დანართი 6.1.3). ამრიგად, სამეცნიერო კვლევა უნივერსიტეტის სამი სტრატეგიული პრიორიტეტიდან ერთ-ერთია.

უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობას ახორციელებენ როგორც ფაკულტეტები, ასევე, კვლევითი ცენტრები ინსტიტუციონალურ დონეზე, როგორც ეს განსაზღვრულია განვითარების სტრატეგიით.

შეიქმნა სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი, რომლის ამოცანებია:

- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და მისი განხორციელების უზრუნველყოფა;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება და განხორციელება;
- უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალისა და პროდუქტიულობის შეფასების სისტემის შემუშავება.

უნივერსიტეტი ახორციელებს ორ სადოქტორო პროგრამას. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დონეზე, კვლევის კომპონენტის მოთხოვნები გათვალისწინებულია შესაბამისი საგანმანათლებლო დონის მოთხოვნებში.

სადოქტორო პროგრამების განხორციელების მიზნით, შეიქმნა სადოქტორო და კვლევითი განვითარების ცენტრი, რომელსაც ბრიტანელი აკადემიკოსი ხელმძღვანელობს. ცენტრის ამოცანებში შედის სწავლის-სწავლებისა და კვლევის პროცესის განვითარება სადოქტორო დონეზე, სტუდენტებისა და პედაგოგიური პერსონალის დახმარება.

კვლევის დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, ჩამოყალიბდა კიდევ ერთი სტრუქტურული ერთეული - კვლევის ეთიკის კომიტეტი. კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს კვლევის ეთიკისა კოდექსისა და პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და მასზე რეაგირების წესების დაცვა.

უნივერსიტეტი აქტიურად უჭერს მხარს საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო და სტუდენტური კონფერენციების ორგანიზებას. კონფერენციის მასალები, როგორც წესი, ქვეყნდება კონფერენციის პუბლიკაციების სახით. ჩატარებული და დაგეგმილი კონფერენციების შესახებ უამრავი ინფორმაციის



ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე.

2019 წლიდან ხდება ორენოვანი აკადემიური ჟურნალის გამოშვება, რომელშიც ქვეყნდება აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების ნაშრომები. ჟურნალის სარედაქციო საბჭო საერთაშორისოა.

შთამბეჭდავია 2015 წლიდან კვლევის განვითარების დინამიკა, რომელიც დასტურდება შესაბამისი ანგარიშით (2015-2019 წლების ანგარიში კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ) და წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიშში (SER). ამ ინფორმაციის მიხედვით, მაგალითად, იმფაქტფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა გაიზარდა 4-ჯერ, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა - 5-ჯერ, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა კი - 8-ჯერ. ეს მოვლენა მოწმობს დაწესებულების სერიოზულ ნებას მნიშვნელოვანი კვლევის წარმოების შესახებ.

უნივერსიტეტში ტარდება ფართო და მნიშვნელოვანი სამუშაოები კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით. ახალ კამპუსში ცალკე აშენდა შენობა (994 კვმ) სამეცნიერო ცენტრებისა და ლაბორატორიებისთვის.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიაში (2019-2025 წწ), მე-4 გვერდზე ნათქვამია, რომ კვლევა უნდა ემყარებოდეს უნივერსიტეტის სამეცნიერო პრიორიტეტებს.

- ასევე, თვითშეფასების ანგარიშში, 114-ე გვერდზე აღნიშნულია: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი არის კვლევაზე ორიენტირებული დაწესებულება, რომელიც ახორციელებს კვლევებს სამეცნიერო კვლევითი პრიორიტეტების შესაბამისად. ვინაიდან ეს არის ახალგაზრდა სამეცნიერო უნივერსიტეტი, ეს პრიორიტეტები ჯერ კიდევ არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. ასევე, ინტერვიუების დროს შეუძლებელი იყო იმ პრიორიტეტული მიმართულებების დაზუსტება, რომლებიც ითვალისწინებს დაწესებულების განსაკუთრებულ ინტერესს და მის გამორჩეულ პოზიციას უმაღლესი განათლების სივრცეში. როგორც ჩანს, კვლევის პრიორიტეტები მორგებულია კონკრეტულ მკვლევარებზე, რომლებიც, ამჟამად, უნივერსიტეტში მუშაობენ. ამავე დროს, კვლევის პრიორიტეტების განხილვის ფაქტი საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ დაწესებულება ესწრაფვის მათ პოვნასა და დამკვიდრებას.

განხორციელებული კვლევითი პროექტების საერთო რაოდენობა, როგორც ინსტიტუციონალურ დონეზე, ისე კვლევითი ცენტრებისა და ფაკულტეტების მიხედვით, ძალიან შთამბეჭდავია: თითქმის 100-ს შეადგენს. შესრულებული პროექტების რაოდენობაც არანაკლებ შთამბეჭდავია.

- ამასთან, იმ განხორციელებული პროექტების დეტალური გამოკვლევის საფუძველზე, რომლებიც მითითებულია დაწესებულების ვებგვერდზე, აღმოჩნდა, რომ მრავალი მათგანი ჩატარდა მკვლევარების მიერ, რომლებიც, ამჟამად, არიან აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ნაწილი, მაგრამ გამოაქვეყნეს სხვა უნივერსიტეტების სახელით. ეს გავლენას ახდენს როგორც აფილირებულ, ისე არა-აფილირებულ პერსონალზე. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ეს პირები გამოქვეყნების დროს ჯერ კიდევ არ იყვნენ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი, მაგრამ ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა ამ პროექტების წარდგენა, როგორც ამ დაწესებულების კვლევა.

არსებობს 6 სამეცნიერო ცენტრი, რომელთაგან ზოგიერთმა უკვე ჩაატარა რამდენიმე კვლევითი პროექტი. ყველა მათგანი, ამჟამად, მრავალ კვლევით პროექტს ახორციელებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფსიქოლოგიისა და ნეირომეცნიერების კვლევითი ცენტრი, რომელიც დაარსდა 2019 წელს. 2019 წელს დაარსდა ლაბორატორია Z, რომელიც აღჭურვილი იყო ქცევისა და ნეირომარკეტინგის მაღალტექნოლოგიური კვლევითი აღჭურვილობით. პირველ ეტაპზე, ცენტრის თანამშრომლებს, ევროპელი ექსპერტების მიერ, ჩაუტარდათ ტრენინგი აღჭურვილობისა და ინსტრუმენტების გამოყენებაში. დღეისათვის ცენტრმა განახორციელა 10-მდე კვლევითი პროექტი. ამჟამად, ის ახორციელებს ორ კვლევით პროექტს. ამობოზნ, რომ საქართველოში ის არის ამ ტიპის პირველი ფსიქოლოგიური ლაბორატორია.

ასევე, აღსანიშნავია მრავალფუნქციური კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბიზნეს

პრობლემების პლატფორმისა და ინტეგრირებული საკომუნიკაციო და საინფორმაციო ქსელის შექმნა. ბიზნეს პრობლემების პლატფორმაზე კომპანიის რეგისტრაციის შემდეგ, პლატფორმაზე განთავსდება პროგრამა პრობლემის გადასაჭრელად. პლატფორმაზე დარეგისტრირებული ექსპერტთა ჯგუფები აქვეყნებენ თავიანთ წინადადებებს პრობლემის გადასაჭრელად. კომპანიებს შეუძლიათ მათთვის ყველაზე მისაღები წინადადების არჩევა და ექსპერტებთან ხელშეკრულების გაფორმება. მას შემდეგ, რაც კომპანია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისგან შემოთავაზებას მიიღებს, უნივერსიტეტის ექსპერტებს (დოქტორანტებისა და ასპირანტების მონაწილეობით) პრობლემის გადასაჭრელად აქვთ წვდომა ბიზნესის აქსელერატორზე და მრავალფუნქციურ აღჭურვილობაზე.

დაარსებიდან მოკლე დროში ცენტრმა ჩაატარა პირველი მასშტაბური შრომის ბაზრის კვლევა საქართველოში საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. კვლევა ჩატარდა საქართველოს სამ სხვა უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

მიგრაციისა და დიასპორის კვლევის ცენტრში, რომელიც 2020 წელს დაარსდა, მიმდინარე და დაგეგმილი კვლევითი პროექტების რაოდენობა უკვე 18-ია.

- *ამასთან, უფრო დეტალური ინფორმაცია პერსონალისა და ფინანსური რესურსების შესახებ, ზოგ შემთხვევაში, კი ზოგიერთი ცენტრის პროექტის შესაბამისი ინფორმაცია ვერ მოიძებნა უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ვერც ინტერვიუების დროს დაზუსტდა. მოთხოვნის საფუძველზე, დაწესებულებამ მოგვაწოდა გარკვეული ინფორმაცია ზოგიერთ ცენტრთან დაკავშირებით. ნებისმიერ შემთხვევაში, კვლევითი პროექტების სასურველი მოცულობის მართვა შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული რაოდენობის სტაბილური, კვალიფიციური და მოტივირებული პერსონალის ჩართვით.*

დოკუმენტების თანახმად, სულ 158 აკადემიური პერსონალია, რომელთაგან 96 აფილირებულია (თვითშეფასების ანგარიში, გვ 114).

- *მიმდინარე პროექტებში მონაწილე პერსონალიდან ნახევარი აფილირებულია უნივერსიტეტთან. ერთი მხრივ, ეს ნიშნავს, რომ უნივერსიტეტს შეუძლია დაინტერესოს და მოიზიდოს გარე მკვლევარები საკუთარ პროექტებში, მაგრამ მეორე მხრივ, ბაღებს კითხვას: არის პროექტებში საკუთარი პერსონალის ჩართულობის შედარებით დაბალი დონე მდგრადი კვლევისთვის ოპტიმალური?*

აფილირებული აკადემიური პერსონალის კვლევაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა შეიმუშავა „აკადემიური პერსონალის ყოველკვირეული სავალდებულო დატვირთვა“, რომელიც ეხება უნივერსიტეტში დასაქმებულ აფილირებულ და არა-აფილირებულ აკადემიურ პერსონალს (თვითშეფასების ცხრილი 4.2.1). ამ ცხრილის თანახმად, აკადემიური პერსონალი ვალდებულია სწავლების საათების გარდა შეავსოს კვლევის საათების გარკვეული რაოდენობა.

- *ამასთან, აკადემიური პერსონალის დატვირთვის ცხრილი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის თხოვნით იქნა მოწოდებული, აჩვენებს, რომ ამ წესის დაცვა, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია, რადგან მრავალი აფილირებული და არა-აფილირებული პირისთვის კვლევის დატვირთვის დადგენა შეუძლებელია. შედეგად, ამ სავალდებულო წესის მნიშვნელობა ეჭვქვეშ დგება.*

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიაში (2019-2025 წწ), გაცხადებულია მე-4 ამოცანა - სამეცნიერო კვლევების ინტეგრირება სასწავლო პროცესში. ინტეგრირების დროს არ აღნიშნულა კვლევის შედეგების სასწავლო პროგრამაში ინტეგრაციის კონკრეტული მაგალითები.

- *ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის თანახმად, მხოლოდ 5 მიმდინარე კვლევითი პროექტი ითვალისწინებს სტუდენტების ჩართვას. უნივერსიტეტმა თვითონვე აღნიშნა სტუდენტთა ნაკლებობა კვლევაში, როგორც SWOT ანალიზის ერთ-ერთი სისუსტე. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ მიმართულებით ძალისხმევა ხორციელდება.*

უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამები 2016 წლიდან ხორციელდება და ბოლო მონაცემებით,

დაცულია 3 სადოქტორო ნაშრომი. დოქტორანტურისა და სადოქტორო სადისერტაციო საბჭოს დებულებები განახლდა და სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასებისა და დაგეგმვის წესებში შევიდა სადოქტორო სწავლების მინიმალური სტანდარტი. დაიხვეწა და განახლდა „დოქტორანტების სახელმძღვანელო“.

სადოქტორო ნაშრომების მოთხოვნები ნათლად და სიღრმისეულად არის განსაზღვრული. გათვალისწინებულია სამეცნიერო ეთიკის ნორმები. ასევე, მკაფიოდ არის მითითებული დოქტორანტის ხელმძღვანელების ფუნქციები და პასუხისმგებლობები.

ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აღნიშნული სადოქტორო კვლევისა და განვითარების ცენტრი. მნიშვნელოვანი შეთანხმება იქნა მიღწეული ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯში (UCL) დოქტორანტების ხელმძღვანელების ტრენინგის ჩატარებასთან დაკავშირებით. 2021 წლის მაისსა და ივნისში აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის ჩატარდება დოქტორანტების ხელმძღვანელების პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა.

სადოქტორო დისერტაციის დაცვის წესები დეტალურად რეგულირდება სადოქტორო სწავლების მინიმალური სტანდარტით. სხვა საკითხებთან ერთად, დებულება ითვალისწინებს წარმოდგენილი ნამუშევრის პლაგიატზე შემოწმების დეტალურ პროცედურას.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე, დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს მინიმუმ ორი სტატია საერთაშორისო ჟურნალებში. აქედან მინიმუმ ერთი უნდა გამოქვეყნდეს Scopus-ის, PLH We-ის, Science-ის ან ERIH PLUS-ის მიერ ინდექსირებულ საერთაშორისო ჟურნალში. ეს რეგულაცია მხოლოდ 2019 წელს იქნა შემოღებული, ამიტომ შეუძლებელია მისი შემოწმება, აქამდე შესრულებულ სამ დისერტაციასთან დაკავშირებით.

დისერტაციის დაცვა ხორციელდება „სადისერტაციო კომიტეტის“ სხდომაზე. სადისერტაციო კომიტეტის წევრები დისერტაციას კონფიდენციალურად შეაფასებენ 100-ბალიანი სისტემის მიხედვით. მისაღებია მოსაზრება, რომ სადისერტაციო კომიტეტის ერთი წევრი მაინც უნდა იყოს საქართველოდან ან უცხოეთიდან და არ ეკუთვნოდეს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დანართი 1.2.1. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025;
- დანართი 6.1.1. კვლევითი საქმიანობის ანგარიში 2015-2020 წწ;
- დანართი 6.3.1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია 2019-2025 წწ;
- დანართი 1.2.2. უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა (2019-2015 წწ);
- დანართი 3.3.2. სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მინიმალური სტანდარტი;
- დანართი 3.3.3. მინიმალური სადოქტორო სტანდარტი;
- ექსელის დოკუმენტი აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის შესახებ;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <https://eeu.edu.ge>;
- ინტერვიუს შედეგები.

#### რეკომენდაციები:

- უფრო აქტიურად ჩაერთოს აფილირებული თანამშრომლები კვლევაში.
- შემოწმდეს დასრულებული კვლევითი პროექტების შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან ზოგიერთი პუბლიკაციის აფილირებისთვის.
- გადაიხედოს აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის სისტემა, როგორც მინიმალური, ასევე მაქსიმალური დატვირთვის კუთხით.
- უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტების უფრო ფართო ჩართულობა უნივერსიტეტის კვლევით

საქმიანობაში.
<b>რჩევები:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>- კვლევითი ცენტრების კადრებისა და ფინანსური რესურსების ზედამხედველობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს დაგეგმილი პროექტების განხორციელება.</li> </ul>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b> <ul style="list-style-type: none"> <li>- ბიზნეს პრობლემების პლატფორმა მრავალფუნქციური კვლევის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში</li> </ul>
<b>შეფასება</b> მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>
<b>6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.</li> <li>○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით და სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში.</li> <li>○ დაწესებულება მუშაობს კვლევითი, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.</li> </ul>
<b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b> <p>დაწესებულება თანმიმდევრულად და სისტემატურად ცდილობს ხელი შეუწყოს კვლევას საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა დონეზე. მაღალხარისხიანი და კარგად ფუნქციონირებადი კვლევების მხარდაჭერისთვის, შეიქმნა მრავალი შესაბამისი რეგულაცია, მაგ., „კვლევის დაფინანსების წესები“ და „სტუდენტთა საქმიანობის დაფინანსების წესები“.</p> <p>2019 წელს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში შემოღებული იქნა სპეციალური ბონუსების სისტემა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერისთვის. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ამ სისტემით უკვე ისარგებლა 78 აკადემიურმა თანამშრომელმა. 25-ზე მეტმა აკადემიურმა პერსონალმა სარგებელი მიიღო კვლევითი საქმიანობით და დაფინანსდა 45-ზე მეტი სტუდენტური პროექტი. მკვლევარები იღებენ წახალისებას, რომ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროექტებში და ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში. ასევე, დაგეგმილია და ტარდება სამეცნიერო კონფერენციები და სამუშაო შეხვედრები უნივერსიტეტის ბაზაზე. შესაბამისი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. მკვლევარები იღებენ დახმარებას იმფაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებაში. ამის კარგი მაგალითია დოქტორანტის სტატიის გამოქვეყნება.</p> <p>უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს შიდა გრანტების სახით და სამეცნიერო ერთეულებსა და ცალკეულ მკვლევარებს ხელს უწყობს კვლევისთვის გარე ფინანსების მოზიდვაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინფორმაციით, 2020 წელს უნივერსიტეტმა 400000 ლარზე მეტი ინვესტიცია ჩადო კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარებაში (თვითშეფასების ანგარიში ინგლისურ ენაზე გვ. 130). ეს მოიცავს 6 სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, მედიცინის სიმულაციური ცენტრის დაარსებას, ბიბლიოთეკის რესურსებისა და საერთაშორისო</p>

სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შექმნას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რამდენიმე გარე მკვლევარი მონაწილეობს უნივერსიტეტის კვლევით პროექტებში. უნივერსიტეტთან აფილირებული მკვლევარების რეზიუმეების შესწავლისას გამოვლინდა, რომ მრავალი ცნობილი პიროვნება, რომლებმაც სხვა უნივერსიტეტებში შექმნეს კარიერა, გადმოვიდა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში. ამასთან, არ არსებობს ცნობილი და განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მკვლევარების მოზიდვის სტრუქტურირებული და კარგად გააზრებული სტრატეგია, რომ უზრუნველყოფილი იყოს მყარი და მდგრადი კვლევები.

კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად და კვლევის შედეგების გადამოწმებისათვის.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს, ამჟამად, გაფორმებული აქვს პარტნიორობის ხელშეკრულებები 29 უცხოურ უნივერსიტეტთან და გაერთიანებულია 13 საერთაშორისო ორგანიზაციაში. 2019 წელს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, 6 ქართულ უნივერსიტეტთან ერთად, გახდა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის წევრი (EUA). ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციაში გაწევრიანება მნიშვნელოვანია, რადგან ეს გაერთიანება მნიშვნელოვან დახმარებას უწევს კვლევის შემდგომ გაუმჯობესებასა და ინტერნაციონალიზაციას, განსაკუთრებით სადოქტორო სწავლების სფეროში. ბოლო წლებში დაწესებულებამ ჩაატარა 15-ზე მეტი საერთაშორისო კონფერენცია და სამუშაო შეხვედრა და მიიღო რამდენიმე გრანტი საერთაშორისო ორგანიზაციებისგან და ფონდებისგან. რამდენიმე უცხოელი (ძირითადად ბრიტანელი, გერმანელი და ამერიკელი) მეცნიერი მონაწილეობს უნივერსიტეტის სწავლებასა და კვლევაში.

საერთაშორისო მიმართულებაზე ორიენტირებული პროექტებიდან აღსანიშნავია ბრიტანეთის საბჭოს მიერ დაფინანსებული მიმდინარე კვლევა თემაზე: „რასიზმი და ეთნიკურობა ევროპაში და მისი გავლენა ბრიტანეთის საბჭოზე“. პროექტი მიზნად ისახავს რასიზმთან დაკავშირებული საკითხების გამოკვლევას ევროპის ფართო რეგიონის 15 ქვეყანაში.

კიდევ ერთი პროექტი არის მიმდინარე ერთობლივი კვლევა - „კვლევა სწავლისა და სწავლების პრაქტიკის შესახებ საქართველოში“, რომელსაც აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ახორციელებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (თსუ) და განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტთან (EPPM) ერთად.

უნივერსიტეტმა უკვე წარმატებით დაასრულა ვიშეგრადის ქვეყნების სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსის პირველი ეტაპი ერთობლივი პროექტის მიმართულებით - „მრავალფუნქციური ლაბორატორია - ბიზნესის ინოვაციური გადაწყვეტილებების პლატფორმა და ქსელი“ (მონაწილეები: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, პრალის ფინანსებისა და ადმინისტრირების უნივერსიტეტი, ბუდაპეშტის მეწარმეობის სააგენტო, ლოდის უნივერსიტეტი და სლოვაკეთის ჟილინას უნივერსიტეტი). ასევე, ავსტრიის საელჩოში, პროგრამა GRETA-ს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიგზავნა პროექტი „მწვანე ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები საქართველოს მთიან რეგიონებში“. პროგრამა ფინანსდება ავსტრიის განვითარების სააგენტოსა (ADA) და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ.

ასევე, შეიქმნა საერთაშორისო კონტექსტები სადოქტორო პროგრამებისთვის, ხოლო დოქტორანტები იღებენ დახმარებას საერთაშორისო გამოცდილების გაცნობისა და შესწავლის მიმართულებით.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტსა და მიდლსექსის უნივერსიტეტს (დიდი ბრიტანეთი) შორის გაფორმდა სპეციალური დახმარების ხელშეკრულება. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი დოქტორანტებისათვის უზრუნველყოფს სრულ წვდომას მიდლსექსის უნივერსიტეტის სასწავლო და ტრენინგ მასალებზე.

ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯთან (UCL) დადებული ხელშეკრულება სადოქტორო ხელმძღვანელების ტრენინგის პროგრამასთან დაკავშირებით, ითვალისწინებს დოქტორანტის

ხელმძღვანელობის პროფესიული უნარ-ჩვევების მომზადებას (იხ. ზემოთ პუნქტი 6.1).  
ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის წევრობაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქმნის მრავალ  
შესაძლებლობას სადოქტორო სწავლების საერთაშორისო დონეზე განვითარებისათვის.

კონკრეტულ მაგალითის სახით უნდა აღინიშნოს, რომ გამოქვეყნდა მინესოტას უნივერსიტეტის (აშშ)  
ბიზნესის ადმინისტრირებისა და საერთაშორისო ატლასის პროგრამის დოქტორანტის ნაშრომი  
(<http://atlas-tjes.org/index.php/tjes>).

• ამასთან, დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად,  
უნივერსიტეტის მასშტაბით მიმდინარე 62-ზე მეტი კვლევითი პროექტიდან, მხოლოდ 3 ან 4 პროექტია  
საერთაშორისო სივრცეზე ორიენტირებული. აშკარაა, რომ საერთაშორისო მიმართულებით პროექტების  
შემდგომი განვითარების მცდელობები უნდა გაძლიერდეს და გაღრმავდეს. დადებითი ნიშანი ისაა, რომ  
უნივერსიტეტმა აღიარა ეს ხარვეზი და აღნიშნა SWOT-ის ანალიზში, როგორც გასაუმჯობესებელი  
საკითხი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <https://eeu.edu.ge>;
- დანართი 6.2.1. კვლევის ხელშეწყობის მექანიზმები;
- დანართი 6.1.1. კვლევითი საქმიანობის ანგარიში 2015-2019 წწ;
- დანართი 2.3.5. კვლევისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ეთიკის კოდექსი;
- დანართი 2.3.6. პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების წესი;
- სპეციალური ბონუსების სისტემა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერისთვის;
- დანართი 6.1.3. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია 2019-2025 წწ;
- დანართი 1.2.1. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025;
- დანართი 1.2.2. უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა (2019-2015 წწ);
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

- რაც შეიძლება მეტ მკვლევარს მიეცეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ღონისძიებებში, იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორ უნივერსიტეტებში, რათა გაიზარდოს მიმდინარე პროექტებში საერთაშორისო კომპონენტების ინტეგრირების შესაძლებლობა.
- შემუშავდეს კარგად გააზრებული სტრატეგია კვლევით პროექტებში მონაწილეობის მოსაზიდად, განსაკუთრებით ახალგაზრდა მკვლევარებისთვის.

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- შეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება**

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

უსდ-ს შემუშავებული აქვს საკუთარი სისტემა კვლევითი საქმიანობების ხარისხის შეფასებისა და ანალიზისათვის. არსებობს აკადემიური პერსონალის შეფასების კარგად შემუშავებული სისტემა, რომელიც შეტანილია „აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესში“. შეიქმნა რამდენიმე კითხვარი და თვითშეფასების ფურცელი თანამშრომლების მუშაობის შესაფასებლად. სისტემის შემუშავება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ხორციელდება ფაკულტეტის მენეჯმენტთან თანამშრომლობით და საბოლოოდ კვლავ ფასდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

საკმაოდ მაღალია მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ კვლევითი საქმიანობის მოცულობასთან და შედეგებთან დაკავშირებით. შეფასება წელიწადში ერთხელ ტარდება და წარმოადგენს საფუძველს პერსონალის დაწინაურებისა და ფინანსური წახალისებისთვის (ბონუსების სისტემა, იხილეთ ზემოთ კომენტარი პუნქტ 6.2-ზე).

ფაკულტეტის დონეზე, კვლევის შეფასება ხდება ყოველწლიური ანგარიშების საფუძველზე. ანგარიშებს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი, შემდეგ კი ისინი იგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

ინსტიტუციური კვლევა ფასდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საფუძველზე და აღირიცხება ამავე სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშებში. რადგანაც ამჟამინდელი კითხვარები მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში გამოიყენებოდა, ჯერჯერობით, ამ მხრივ, დიდი გამოცდილება არ დაგროვებულა. როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშშია ნათქვამი (ანგარიში ხარისხის მექანიზმების გამოყენების შესახებ 2019-2020 წწ, დანართი 2.2.2.), საანგარიშო პერიოდში არ ფიქსირდება აკადემიური პერსონალის დაბალი შეფასება.

- *უსდ-ის დოკუმენტაციაში არ არის განმარტებული, თუ როგორ ხდება კვლევითი ცენტრების კვლევის შედეგების შეფასება. ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ არ არსებობს ცენტრების შეფასების კონკრეტული პროცედურა.*

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <https://eeu.edu.ge>;
- დანართი 4.1.6. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესები;
- დანართი 2.1.1. QAS - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა;
- დანართი 2.2.2. 2019-2020 წლების პროგრესის ანგარიში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების შესახებ;
- დანართი 1.2.1. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025;
- დანართი 2.2.1. უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა (2019-2025 წწ);
- დანართი 6.1.3. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია 2019-2025 წწ;
- კვლევითი საქმიანობის შეფასებისთვის შემუშავებული კითხვარები;
- გასაუბრებების შედეგები.

<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები:</b> - გადაიხედოს კვლევითი ცენტრების შეფასება და საჭიროებისამებრ, დაინერგოს სპეციალური პროცედურა.
<b>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>შეფასება</b> მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:  <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> შეტყობილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან დაეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

<b>7.1. მატერიალური რესურსები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება სტუდენტთა არსებულ და/ან დაგეგმილ რაოდენობას.</li> <li>○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.</li> <li>○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.</li> <li>○ უსდ-ს აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.</li> </ul>
<b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b>
<p>მისიის განაცხადში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ფლობს: ორ შენობას კანონიერ მფლობელობაში - ერთი დროებით ეკუთვნის უნივერსიტეტს საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო მეორეა ახალი კამპუსი, რომელიც შედგება ერთი მთავარი შენობისა და სამი დამხმარე ნაგებობისგან. ორივე შენობაში განთავსებულია აუდიტორიები, ადმინისტრაციული ოთახები, კომპიუტერის კაბინეტები, მცირე და დიდი საკონფერენციო დარბაზები, კაფეტერია, სპორტული დარბაზი, სტადიონები, არქივი, ლაბორატორიები, საგამოცდო ცენტრები და სხვა დამხმარე განყოფილებები. უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელს ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული გარე შეფასების შემდეგ, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რეკომენდაციები. შედეგად, დღეს ორივე შენობა ადეკვატურად პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება სტუდენტთა არსებულ და დაგეგმილ რაოდენობას.</p>



დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ავტორიზაციის ექსპერტებმა დაადგინეს, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში შემდეგი სავალდებულო განყოფილებებია: საგანმანათლებლო-ადმინისტრაციული შენობა, ცალკე შენობა კვლევითი ცენტრებისთვის და სამი ლაბორატორიისთვის (დარგის სპეციფიკის შესაბამისად), ფოიეები, კაფეტერიისთვის განკუთვნილი ცალკე შენობა, სარეკრეაციო სივრცეები, სპორტული მოედანი, თეორიული სწავლების აუდიტორიები, ადმინისტრაციული ოფისები, ჯგუფური მუშაობის სივრცე, საზოგადოებრივი ღონისძიებების ადგილები და რეკრეაციული ზონა, საკონფერენციო დარბაზი, სანიტარული/ჰიგიენური კვანძები, ბიბლიოთეკა, კეთილმოწყობილი აუდიტორიები და არქივი.

საგანმანათლებლო სივრცე აღჭურვილია სასწავლო პროგრამისთვის აუცილებელი საშუალებებით, სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებით, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარით, ინფორმაციული ტექნოლოგიების აღჭურვილობით, რაც უზრუნველყოფს მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. კამპუსი სრულად არის აღჭურვილი უსაფრთხოების სისტემით, გათბობა-გაგრილების ცენტრალური სისტემით, უწყვეტი ცივი და ცხელი წყლით, სავენტილაციო არხებით და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით. ყველა სართულს აქვს სანიტარული კვანძები, რომლებიც მარაგდება ცხელი და ცივი წყლით, აქვს ვენტილაცია და უზრუნველყოფილია განათებით, ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის (სანიტარული კვანძებით, ლიფტით და ა.შ.). ჰიგიენურ-სანიტარული ნორმები დაცულია ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად. თითოეულ საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათების შესაძლებლობები. უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილია უწყვეტი ხელოვნური განათება და ვენტილაცია.

უძრავი ქონების კანონიერი ფლობა დამოწმებულია საჯარო რეესტრის ამონაწერით; უსდ-ის საგანმანათლებლო და დამხმარე სივრცეები გამოყოფილია შენობის აზომვითი ნახაზების საფუძველზე. საგანმანათლებლო სივრცე განსაზღვრულია სწავლისა და სწავლების მიზნებისათვის და მოიცავს: სასწავლო აუდიტორიებს, საკონფერენციო დარბაზს, პროფესორთა კაბინეტებს (სადაც პროფესორები კონსულტაციას უწევენ სტუდენტებს), სასწავლო/სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკასა და სხვა სივრცეებს, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ახალი კამპუსი არის შენობებისა და რეკრეაციული ზონების კომბინაცია, რომელიც შექმნილია თანამედროვე არქიტექტურის გამოყენებით და აღჭურვილია უახლესი ინფრასტრუქტურითა და ტექნოლოგიებით. 2015 წელთან შედარებით, ლაპტოპების, პრინტერების, პროექტორების, ჰკვიანი მონიტორების და ა.შ. მზარდი რაოდენობა ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტებმა შენიშნეს, რომ იმიტირებული სასამართლო დარბაზი აღჭურვილია საქართველოს საქალაქო სასამართლოს დარბაზის მსგავსად და გამოყოფილია იურიდიული და სოციალური მეცნიერებების სტუდენტებისთვის. ექსპერტებმა დაათვალიერეს ფსიქოლოგიისა და ნეირომეცნიერების კვლევითი ცენტრი, ქცევისა და ნეირომარკეტინგის მაღალტექნოლოგიური კვლევითი აღჭურვილობის მქონე „ლაბორატორია Z“, მრავალფუნქციური კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კლინიკური და პრაქტიკული უნარების განვითარების ცენტრი.

უნივერსიტეტმა ჩაატარა მრავალფუნქციური ინტერაქტიული ანატომიური ცხრილის პრეზენტაცია, რომელიც სხეულის 11 სისტემის 3D ფორმატში შესწავლის საშუალებას იძლევა (ანატომიური, ჰისტოლოგიური, პათოლოგიური, რენტგენოლოგიური, ტრავმატოლოგიური, ენდოსკოპიური და სხვა მიმართულებებით). ინტერაქტიული ანატომიური ცხრილი არის ადამიანის სრულად დანაწევრებული 3D ანატომიის სისტემა. მომხმარებლებს შეუძლიათ ანატომიის ვიზუალიზაცია ზუსტად ისე მოახდინონ, როგორც ახალ გვამზე. ანატომია წარმოდგენილია სრულად ინტერაქტიული, რეალური ზომის სენსორული ეკრანის საშუალებით (საოპერაციო საწოლის ფორმაზე). ცხრილი ადამიანის ანატომიის გამოკვლევისა და შესწავლის საშუალებას იძლევა.

სამედიცინო პროგრამის აღჭურვილობის შეოწმებისას, უნივერსიტეტის მხარემ ასევე წარმოადგინა ინვენტარი: მიკროსკოპები, მულაჟის სხვადასხვა ნაწილები, მანეკენები, სინჯარები და სხვა მოწყობილობები.

უნდა აღინიშნოს, რომ ლაბორატორიის ყველა მოწყობილობა, სიმულაციური სწავლების აღჭურვილობა და მანეკენები ახალ შენობაშია, ხოლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს შემოწმებული მოწყობილობები სრულიად ახალია და ჯერ არ გამოუყენებიათ პრაქტიკული მეცადინეობისთვის. უნივერსიტეტის წარმომადგენლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ძველ კორპუსში, ამჟამად, კლინიკური უნარების ცენტრი არ ფუნქციონირებს. უნარების ყველა ტრენინგი გადაიდო მაისის ბოლოსთვის, როდესაც იგეგმება ახალი შენობის ექსპლუატაციაში შესვლა. არც ანატომიის ცხრილი გამოიყენება დისტანციური სწავლებისთვის, რაც შეიძლება სასარგებლო მიდგომა ყოფილიყო განსაკუთრებით პანდემიის დროს.

საჭიროა განახლდეს კლინიკური უნარების ლაბორატორიის აპარატურა, რადგან ექსპერტებმა დაათვალიერეს გარკვეული ტიპის მანეკენების ცალკეული ნიმუშები, რომლებიც გამოყენებისთანავე დაზიანდება. სიმულატორების რეალური მდგომარეობის შემოწმება ვერ მოხერხდა, რადგან ექსპერტებმა ვერ მიიღეს წვდომა ძველ შენობაში (რომელიც ამჟამად გამოიყენება) არსებული უნარების ლაბორატორიაზე, სადაც ძველი (ნახმარი) აღჭურვილობაა.

უნივერსიტეტი მუდმივად აკონტროლებს სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოებას და ჯანმრთელობას, რისთვისაც შემუშავებულია უსაფრთხოებისა და პირველადი დახმარების პროცედურები. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ორგანიზებას უწევს ადამიანების უსაფრთხო ევაკუაციას შენობაში, ეხმარება სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებს/პერსონალს უნივერსიტეტის შენობაში გადაადგილებაში (საჭიროების შემთხვევაში). აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, ასევე, ზრუნავს ელექტროენერჯის მიწოდებაზე და ახორციელებს სამედიცინო დახმარებას. შენობას აქვს სახანძრო უსაფრთხოების სისტემები. თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკა და დეტალური ინსტრუქციები მათი გამოყენებისათვის, ევაკუაციის გეგმები და ინდიკატორები, კვამლის გამონაბლოქვის სისტემა და დეტექტორები, სიგნალიზაცია და ცეცხლმაქრობი, რომლებიც, ხანძრის შემთხვევაში, ავტომატურად გაფანტავს წყალს შესაბამის ადგილას.

უნივერსიტეტს ჰყავს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, რომელთანაც დადებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები. უნივერსიტეტის ორივე მისამართზე არის სამედიცინო ოფისი, რომელიც აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების ყველა საჭირო აღჭურვილობით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადაპტირებულ გარემოს (სპეციალურ კიბეს (პანდუსს), ადაპტირებულ ტუალეტებს, ლიფტს და ა.შ.) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს გააჩნია სათვალთვალო კამერები, რომლებიც დამონტაჟებულია შენობის შიგნით და გარეთ. უნივერსიტეტის მიერ დაქირავებული და უსაფრთხოების დეპარტამენტს დაქვემდებარებული დაცვის თანამშრომლები წესრიგს იცავენ. უნივერსიტეტისა და მიმდებარე ტერიტორიის ყველა შენობა დაცულია 24 საათის განმავლობაში.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ძველ შენობაში გამოყოფილია საჭირო მოცულობის საპარკინგო ადგილები, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შენობებში ადვილად მისვლის შესაძლებლობას აძლევს. რადგან 2021 წლის მაისამდე გაგრძელდება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ახალი შენობის მშენებლობა და ზოგიერთი სამუშაოები ჯერ კიდევ არ დასრულებულა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეამოწმა პარკირების ადგილები. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორისა და ახალი შენობის გენერალური გეგმის თანახმად, უნივერსიტეტს ახალი კამპუსის ტერიტორიაზე გამოყოფილი აქვს სავალდებულო ავტოსადგომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დაკვირვება და ინტერვიუ;
- პრაქტიკის/სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

- სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- ელექტროენერჯის უწყვეტი მოწოდების სისტემა;
- გათბობისა და ვენტილაციის სისტემების გამართული მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტები და ვარგისიანობის ვადები;
- სანიტარული ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების, პირველადი დახმარებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები;
- ევაკუაციის გეგმების დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- სახანძრო უსაფრთხოებისა და სამედიცინო აღჭურვილობის, ასევე სათვალთვალო კამერების ფლობის დოკუმენტები;
- სამუშაო კონტრაქტები უსაფრთხოებასა და სამედიცინო მომსახურების გაწევაზე პასუხისმგებელ პირებთან.

**რეკომენდაციები:**

- უზრუნველყოფილ იქნეს აღჭურვილობისა და სიმულატორების საკმარისი რაოდენობა ყველა სამედიცინო სტუდენტისთვის, რათა სწავლებისას მათ შეიძინონ საჭირო უნარები.
- უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ყველა აღჭურვილობა ადეკვატურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და შესაძლებლობას იძლევა, სტუდენტებმა შეიძინონ პრაქტიკული გამოცდილება.

**რჩევები:**

- გაიზარდოს სამედიცინო პროგრამის სტუდენტებისთვის ინვენტარის (მანეკენების, მულაჟების, მიკროსკოპების და სხვა) რაოდენობა.
- გაიზარდოს თანამედროვე აღჭურვილობაზე სტუდენტთა წვდომა სპეციალური ტრენინგების ჩატარებით.

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

**შეფასება**  
 მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**7.2. ბიბლიოთეკის რესურსები**

ბიბლიოთეკის გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**  
 აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მოიცავს წიგნების არქივს, სამკითხველო დარბაზს, ბიბლიოთეკის პერსონალის ოთახს, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცეს, ინფორმაციული ტექნოლოგიის აღჭურვილობის ოთახს. დაწესებულებაში ვიზიტისას შემოწმებული ორი სამკითხველო დარბაზი აღიჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერებით, ასლის გადასაღები მანქანებით. ბიბლიოთეკაში უზრუნველყოფილი იყო უკაბელო ინტერნეტი. ასევე, ბიბლიოთეკა

აღჭურვილია სპეციალური აღჭურვილობით (სიგნალიზაციით) და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით. თვითშეფასების ანგარიშისა და ბიბლიოთეკის თანამშრომლების თანახმად, ბიბლიოთეკის ფონდი, საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზების ჩათვლით, გაიზარდა 2015-2020 წლებში. სტუდენტებს და სხვა პირებს შეუძლიათ გამოიყენონ ბიბლიოთეკის რესურსი კვირაში ექვსი დღე, 61 საათის განმავლობაში.

უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგის პროგრამა - OpenBiblio და KOHA. KOHA-ს შეუძლია დაამუშავოს 5 მილიონზე მეტი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი. ელექტრონული ბიბლიოთეკა მომხმარებლებს საშუალებას აძლევს დისტანციურად მოძებნონ მოთხოვნილი ლიტერატურა. გარდა ამისა, „მაიკროსოფტ თიმის“ პროგრამაში (MS Teams) გაიხსნა ბიბლიოთეკის ვირტუალური ოთახი, რომლის მეშვეობითაც ბიბლიოთეკარი სტუდენტებს დისტანციურად უწევს სრულ დახმარებას და აწვდის რჩევებს სასწავლო მასალების მოძიებისა და მიწოდების შესახებ. სტუდენტთა სასწავლო მასალა, ასევე, ხელმისაწვდომია „მაიკროსოფტ თიმის“ (MS TEAMS) და EEU-EL სისტემებში.

ბიბლიოთეკაში შესაძლებელია წვდომა საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო/ძირითად ლიტერატურაზე. ბიბლიოთეკას, ასევე, აქვს რამდენიმე დამატებითი ლიტერატურა, რომელიც განსაზღვრულია სასწავლო პროგრამით.

უნივერსიტეტმა ხელი მოაწერა შეთანხმებას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტსა და მიდლსექსის უნივერსიტეტს (დიდი ბრიტანეთი) შორის. შედეგად, უნივერსიტეტის დოქტორანტებსა და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალს აქვს სრული წვდომა მიდლსექსის უნივერსიტეტის კვლევით და სასწავლო მასალებზე.

ბიბლიოთეკის თანამშრომლების განცხადებით, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი არის გაერთიანებული სამეფოს „ვიტეს (Vitae) პროგრამის“ წევრი, რომელიც უზრუნველყოფს „ვიტეს“ ონლაინ რესურსების (სახელმძღვანელოების, სასწავლო მასალების, კვლევითი პროექტების, ანგარიშების და ა.შ.) სრულ წვდომას. გარდა ამისა, უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და მასთან გაფორმებული მემორანდუმი ითვალისწინებს საჯარო ბიბლიოთეკის წიგნის ფონდის გაზიარებასა და წიგნების თხოვებას.

უნივერსიტეტს აქვს წვდომა ისეთ საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე, როგორცაა კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესის ჟურნალები, Sage Journals და სხვები. Scopus-ის, Science Direct-ისა და სხვა საერთაშორისო მონაცემთა ბაზაზე წვდომა, ასევე, შემოთავაზებულია უნივერსიტეტის მიერ. ელექტრონული მონაცემთა ბაზებისა და საინფორმაციო პლატფორმების წყვეტილი მუშაობა დაიტესტა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებაში ვიზიტის დროს.

უმადლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს ტექნიკური შესაძლებლობა, დააკვირდეს ელექტრონული ბაზების გამოყენებას, ბეჭდვითი მასალები მოწოდებული იქნა მოთხოვნის საფუძველზე. საჭიროა უკეთესად და უფრო ხშირად მოხდეს სტუდენტებისა და პერსონალის საქმიანობის მონიტორინგი ელექტრონული რესურსების გამოყენების თვალსაზრისით. უნდა მოხდეს დაბალი აქტივობის მიზეზების გამოკვლევა და სათანადოდ მოგვარება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა უნივერსიტეტების რეგულაციები საბიბლიოთეკო და ინფორმაციული ინსტრუქციების გამოყენების შესახებ.

ბიბლიოთეკარებს აქვთ სათანადო კომპეტენცია საბიბლიოთეკო მეცნიერებაში და შეუძლიათ დახმარების გაწევა საერთაშორისო ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების გამოყენებაში. ბიბლიოთეკარის თანახმად, ბიბლიოთეკის თანამშრომლები უტარებენ სტუდენტებსა და თანამშრომლებს საორიენტაციო სესიებს ბიბლიოთეკის მიერ შემოთავაზებულ რესურსებსა და მომსახურებებზე, ეხმარებიან სათანადო ლიტერატურისა და სხვა რესურსების მოძიებაში, მათ შორის, გარე წყაროებიდან (სხვა ბიბლიოთეკებიდან, ასევე, შესყიდვების დახმარებით), აწყობენ სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებს. სტუდენტებს შეუძლიათ უფასოდ მიიღონ მოთხოვნილი წიგნების ასლებიც.

ამის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის ძველ კორპუსში მდებარე ბიბლიოთეკაში

იზოვა სავალდებულო ლიტერატურის შავ-თეთრი ასლები. გარდა ამისა, უსდ-მ ვერ უზრუნველყო იურიდიული საკუთრების დოკუმენტაციისა და ელექტრონული წიგნების გამრავლების ნებართვის ჩვენება.

ექსპერტების მიერ მოთხოვნილი სავალდებულო ლიტერატურის ოდენობამ შეადგინა 3-4 ეგზემპლარი. უნივერსიტეტის რექტორის თანახმად, უნივერსიტეტის ახალ კორპუსში ბიბლიოთეკის ოთახის მშენებლობა 2021 წლის მაისამდე გაგრძელდება და მისი შეფასება ჯერჯერობით შეუძლებელია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბიბლიოთეკო რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ელექტრონული კატალოგი;
- ბიბლიოთეკის წიგნების შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ელექტრონული კატალოგი;
- ბიბლიოთეკის აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკის ელექტრონულ მონაცემთა ბაზის გამოყენების სტატისტიკა;
- ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განახლებისა და განვითარების მექანიზმები;
- შეხვედრები, კონსულტაციები და სხვა ღონისძიებები;
- ბიბლიოთეკის გამოყენების რეგულაციები და ინსტრუქციები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ბიბლიოთეკის რესურსების უზრუნველყოფისა და განვითარებისთვის გამოყოფილი სახსრების დინამიკა ბოლო 5 წლის განმავლობაში;
- გასაუბრებების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- უზრუნველყოფილ იქნეს ბიბლიოთეკაში, სტუდენტების წვდომა ლიცენზირებულწიგნებზე/ელექტრონულ წიგნებზე და საავტორო უფლებების შესახებ კანონის დაცვა.

**რჩევები:**

- გამდიდრდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, სტუდენტების მზარდი რაოდენობის შესაწარმუნებლად.
- სტუდენტებს მიეწოდოთ სავალდებულო კურსებისთვის განკუთვნილი წიგნების ფერადი ასლები.

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**7.3 საინფორმაციო რესურსები**

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგულია და არსებობს მათი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ უზრუნველყოფს ბიზნეს პორცესების უწყვეტობას.
- უსდ-ს აქვს მოქმედი ვებ-გვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტი იყენებს მრავალ ელექტრონულ და პროგრამულ პლატფორმას სხვადასხვა ფუნქციისთვის: როგორც სტანდარტ 5.2-ში არის აღნიშნული, EEU-EL (ელექტრონული პროცესების მართვის სისტემა), ძირითადად, ორიენტირებულია სტუდენტებზე და წარმოადგენს სტუდენტთა მომსახურების და მისი გამოყენების მთავარ პლატფორმას.

როგორც ინტერვიუების დროს დადასტურდა, უნივერსიტეტი (როგორც ძველი, ასევე ახალი სასწავლო კორპუსები) აღჭურვილია მაღალი სიჩქარის უკაბელო და სადენიანი ინტერნეტით. ყველა კომპიუტერი ონლაინ რეჟიმშია და, როგორც დაწესებულებაში ვიზიტის დროს შემოწმდა, არქიტექტორებისთვის განკუთვნილი კომპიუტერი ბევრად უფრო თანამედროვეა. ამ კომპიუტერებში დაინსტალირებული და გააქტიურებულია ყველა საჭირო კომპიუტერული პროგრამა. ესენია SketchUp, Archicad (Graphisoft), Autocad (Autodesk), Revit და სხვა Adobe პროგრამები. უნდა აღინიშნოს, რომ „ლენოვომ“ საჩუქარი გაუკეთა უნივერსიტეტს - ყველა კომპიუტერს ოფიციალური წვდომა აქვს Adobe Photoshop-ის პროგრამაზე. როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, ყველა სხვა პროგრამა, რომელიც შემოწმდა დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ასევე, ოფიციალურია და ლიცენზირებულია სტუდენტებისთვის.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს, უნივერსიტეტის ახალ კამპუსს ჰქონდა სმარტ ეკრანის მრავალი მონიტორი (თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით - 10), მაგრამ ისინი ჯერ არ იყო გახსნილი, არც სისტემასთან დაკავშირებული ან კედელზე დამაგრებული. როგორც მატერიალური რესურსების ნაწილშია ნათქვამი, შენობა ჯერ არ დასრულებულა. რექტორმა განმარტა და ექსპერტებიც ეთანხმებიან, რომ აზრი არ აქვს ასეთი ძვირადღირებული ტექნოლოგიის დამონტაჟებას, რადგანაც ზოგიერთი სამუშაო ჯერ კიდევ მიმდინარეობს და არსებობს დაზიანების საშიშროება. იგივე ახსნა ჰქონდა იმ ფაქტს, თუ რატომ არ იყო დაყენებული უნივერსიტეტის სერვერი: ასეთი ძვირადღირებული და დელიკატური ტექნოლოგიის თუნდაც მცირე დაზიანება არ არის სასურველი. შესაძლებელი იყო „ასკლეპიუსის ინტერაქტიული ანატომიური სქემის“ ნახვა ადამიანის ანატომიის შესასწავლად, ძალიან დეტალურ 3D მოდელზე, მაგრამ, როგორც განმარტეს, ყველა სმარტ ეკრანი ურთიერთდაკავშირებულია და წვდომა აქვს ამ ინტერაქტიულ ცხრილზე. ამგვარად, შესაძლებელია პრეზენტაციის მრავალ საკლასო ოთახზე განაწილება ყველა სტუდენტისთვის, რაც ასევე აადვილებს დისტანციურ სწავლებას.

სერვერები, რომლებიც ჯერ არ იყო დაინსტალირებული, განთავსებული იქნება ახალი კამპუსის სარდაფის სართულზე. ისინი ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტის წევრებისთვის. ამ დეპარტამენტის წევრების განცხადებით, ინფორმაცია და მონაცემები ინახება აღნიშნულ სერვერებზე და სარეზერვო სისტემის მეშვეობით მუდმივად შეიქმნება

მათი სარეზერვო ასლები. მათ დაარწმუნეს ექსპერტთა ჯგუფი, რომ დაწესებულებაში არსებული ყველა ელექტრონული პლატფორმა იყენებს დამიფრულ და კარგად დაცულ პროგრამულ უზრუნველყოფას. დაცულია ყველა ინფორმაცია - პირის ელ.ფოსტა, პაროლები, საკონტაქტო ინფორმაცია და ა.შ. კომპიუტერული ქსელის ასოციაცია "GRENA" არაერთხელ იქნა ნახსენები ინტერვიუების დროს, რადგან ეს კომპანია არის ქვეკონტრაქტორი და უფლებამოსილია პერიოდულად შეასრულოს ინფორმაციის სარეზერვო ასლების შექმნა, უზრუნველყოს უნივერსიტეტის ვებგვერდისა და ელექტრონული ფოსტის უსაფრთხო ფუნქციონირება.

EEU-EL - ელექტრონული პროცესების მართვის სისტემა, ელექტრონული დოკუმენტების მართვის სისტემა ELMA და ადამიანური რესურსების მართვის სისტემა - HR პლატფორმა - ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს და თანაბრად დაცულია ჰაკერებისგან და გარე თავდასხმებისგან.

უნივერსიტეტი, ამჟამად, იყენებს ელექტრონულ კატალოგურ სისტემას (OPAC), რომელიც შემოწმდა დაწესებულებაში ვიზიტის დროს და დადასტურდა, რომ ეს პლატფორმა ფუნქციონალურია და მუშაობს. ასევე, დადასტურდა, რომ პლატფორმა KOHA, რომელიც აღნიშნული იყო თვითშეფასების ანგარიშში, ასევე, ხელმისაწვდომია, და როდესაც ის გახდება დაწესებულების განუყოფელი ნაწილი, შეიძლება გახდეს კარგი მონაპოვარი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტრატეგია 2019-2025 წწ;
- 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმა;
- ინტერვიუები.

**შეფასება**

- სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ვებგვერდს (ქართულს და ინგლისურს) უნდა ჰქონდეს **საიტის რუკა** ან საძიებო ველი, რათა უფრო გამარტივდეს სასურველი ინფორმაციის მოძიება.
- ყველა სამართლებრივი აქტი, წლიურ ანგარიშებთან, თვითშეფასების ანგარიშებთან, შეფასების ანგარიშებთან და აკრედიტაციის მონაცემებთან ერთად, განთავსებული უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

**7.4 ფინანსური რესურსები**

- o უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად

შესაძლებელია.

- უსდ-ს ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული და შუალედური სამოქმედო გეგმების ფარგლებში აღწერილი საქმიანობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსებიორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიეროკვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირების/განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ს გააჩნია ანგარიშგების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

გასაუბრების პროცესში ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონოდა შეხვედროდა საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლებს და დაესვა კითხვები აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების შესახებ, თუ რამდენად ადეკვატური და ეფექტური იყო ისინი სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში აღწერილი საქმიანობისთვის.

იმის გამო, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მკაფიო პასუხი ვერ გასცეს დასმულ კითხვებს, **უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს თუ არა სტრატეგიული და შუალედური სამოქმედო გეგმებით აღწერილი საქმიანობის შესრულებას**, ამის შემოწმება მხოლოდ უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშებისა და დოკუმენტების საფუძველზეა შესაძლებელი.

2021 წლის ბიუჯეტისა და ბალანსის თანახმად, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული და შუალედური სამოქმედო გეგმით აღწერილი საქმიანობის შესრულებას.

უნივერსიტეტების ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურად განხორციელებაზე. ესენია: ტრენინგები, კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები, სტიპენდიები და სხვა სახის დაფინანსება სტუდენტებისთვის, სტუდენტთა მხარდაჭერა და წახალისება, სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსება, კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების, სემინარების ორგანიზება, სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსება, საკანცელარიო ნივთების შესყიდვა, ბიბლიოთეკის განვითარება და ა.შ. ასე რომ, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიუჯეტი ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და განვითარების დაფინანსებას. გარდა ამისა, აისახება ხელფასების და ინვესტიციის ხარჯები. უნივერსიტეტმა ექსპერტებს მიაწოდა მოგების კოეფიციენტი (23%), ლიკვიდურობის თანაფარდობა (1,86) და ვალდებულებების თანაფარდობა კაპიტალთან (1,16). 2020 წლის მოგებისა და ზარალის შესახებ განაცხადზე დაყრდნობით, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ძირითადი შემოსავალი არის სწავლის საფასური, ხოლო საგრანტო პროექტებიდან და სხვა შემოსავლებიდან მიღებული თანხები გაცილებით ნაკლებია. ინტერვიუების დროს, უნივერსიტეტის დამოკიდებულება სწავლის საფასურზე დასახელდა, როგორც უსდ-ის მდგრადობის ერთ-ერთი მთავარი საფრთხე.

საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არ იტოვებს სარეზერვო ფონდს, რომელიც გაუთვალისწინებელი ვითარების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით. მათი სიტყვებით, ბიზნესის პროგრამა ყველაზე მკვირადღირებულია (ერთ სტუდენტზე) სამედიცინო და სხვა პროგრამებთან შედარებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**



<ul style="list-style-type: none"> <li>• 2019 წლის ბიუჯეტი;</li> <li>• 2020 წლის ბიუჯეტი;</li> <li>• 2021 წლის ბიუჯეტი;</li> <li>• აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ფინანსური თანაფარდობები;</li> <li>• 2021 წლის ბალანსის დოკუმენტი;</li> <li>• გასაუბრება საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან;</li> <li>• ინტერვიუ რექტორთან და ვიცე რექტორთან;</li> </ul> <p>კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტები, გასაუბრების შედეგები და ა.შ.</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სარეზერვო ფონდის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის გასაუმჯობესებლად;</li> </ul>
<p><b>რჩევები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენელთა კომპეტენციისა და პროფესიული დონის ამაღლება;</li> <li>- სამეცნიერო გრანტების, ასევე, სამეცნიერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის გაზრდა.</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>